CSD

საერთაშორისო სანქციების გაუზრებისა და შესაბამისობის სახელმძღვანელო

2024

საერთაშორისო სანქციების გააზრებისა და შესაბამისობის სახელმძღვანელო

ავტორი:

მაქსიმილიან ჰესი

წინამდებარე სახელმძღვანელო შედგენილია აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის მხარდაჭერით. დოკუმენტში გამოთქმული შეხედულებები და მოსაზრებები ეკუთვნის ავტორს და არ ასახავს ან წარმოადგენს სტრატეგიისა და განვითარების ცენტრის (CSD) ან შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის შეხედულებებსა და მოსაზრებებს.

შინაარსი

შესავალი 01

სანქციების ფორმები 04

სექტორული სანქციები 08

სანქციები ექსპორტსა და იმპორტზე 10

სანქციებთან დაკავშირებული კანონები და სანქციების დამწესებელი ორგანოები 14

სიტუაციური ანალიზი 20

სანქციების გამოყენების ტენდენციები – 2024 წლის ივლისი 24

შესავალი

წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს გზამკვლევს, რომლის მიზანია მკითხველს სანქციების დღესდღეობით არსებული ძირითადი ფორმების გააზრებაში, აღიარებასა და შეფასებაში დაეხმაროს. შესაბამისად, ნაშრომის პირველ თავში, „სანქციის ფორმები“, დაწვრილებით არის აღწერილი შეერთებული შტატების, ევროკავშირის და დიდი ბრიტანეთის მიერ დაწესებული სანქციების ძირითადი ტიპები და სტრუქტურები; ასევე მოკლედ არის წარმოდგენილი საერთაშორისო სანქციების სხვა ცნობილი პროგრამები და რეჟიმები. მომდევნო თავში „სანქციებთან დაკავშირებული კანონები და სანქციების დამწესებელი ორგანოები“ დაწვრილებით არის აღწერილი პროცესები, რეგულაციები, კანონები და საკანონმდებლო ორგანოები, რომლებიც განსაზღვრავენ, რა სანქციები უნდა დაწესდეს. აღწერა ადვილად აღსაქმელი ფორმით არის მოცემული, რათა მკითხველმა გაიუმჯობესოს სანქციებთან დაკავშირებული რისკების შეფასების უნარი, გაიაზროს ტენდენციები და შეიმუშაოს სანქციებთან შესაბამისობის საუკეთესო პრაქტიკა. შემდეგ ნაშრომი დეტალურად განიხილავს სანქციების სამ კონკრეტულ შემთხვევას და განსკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს სანქციების აღსრულების ფარგლებში განხორციელებული ქმედებებისა და შემთხვევების მედია-საშუალებებით გაშუქებაზე, რომელიც ადასტურებს სანქციების გვერდის ავლის ტენდენციების და საფრთხის სიგნალების ანუ „წითელი დროშების“ არსებობას. ასევე ხაზგასმულია, რამდენად მნიშვნელოვანია სანქციები კორუფციის, აგრესიის და კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის აღსაკვეთად, და საერთაშორისო ვაჭრობის და ინვესტიციების დასაცავად გაწეული საერთაშორისო ძალისხმევისთვის. და ბოლოს, ნაშრომის დასასრულს წარმოდგენილია თავი „სანქციების გამოყენების ტენდენციები“, რომლის მიზანია, მკითხველს დაეხმაროს სანქციების ცვლილების გააზრებაში, რათა მომავალში მათ საუკეთესო პრაქტიკის შემუშავება და გამოყენება შეძლონ.

დღესდღეობით, საერთაშორისო სანქციები უმთავრესად ვლადიმერ პუტინის რუსეთის წინააღმდეგ არის მიმართული, თუმცა, სამწუხაროდ, ნიშანწყალიც კი არ ჩანს იმისა, რომ პუტინი უკრაინის მიმართ თავის ექსპანსიონისტურ მიზნებს შეცვლის ან სხვა მეზობლების მიმართ მუქარას შეწყვეტს. შესაბამისად, მნიშვნელოვანია იმის გააზრება, თუ როგორ იცვლება სანქციებთან დაკავშირებული წარმოდგენები.

2022 წელს უკრაინაში რუსეთის სრულმასშტაბიანი შეჭრის შემდეგ, რუსეთი მალევე გახდა „მსოფლიოს ყველაზე სანქცირებული ქვეყანა“, 2778 ახალი სანქციით, რომელიც ორი კვირის განმავლობაში გამოცხადდა მის წინააღმდეგ.[1] ეს იყო საერთაშორისო დონეზე კოორდინირებული ძალისხმევა, რომელმაც გააერთიანა მთელი დასავლური სამყარო - შეერთებული შტატები, ევროკავშირი, დიდი ბრიტანეთი და მათი ახლო მოკავშირეები, როგორიც არის კანადა, იაპონია და ავსტრალია, ასევე მესამე ქვეყნებიც, რომლებსაც შვეიცარიის, სინგაპურის და სამხრეთ კორეისგან განსხვავებით, 2014 წელს უკრაინაში შეჭრის შემდეგ რუსეთის წინააღმდეგ სანქციები არ დაუწესებიათ.[2] თითოეულ ამ ქვეყანაში რუსეთის წინააღმდეგ სანქციები სულ უფრო ფართოვდება. აღსანიშნავია, რომ განსხვავება ქვეყნებს შორის, რომლებმაც რუსეთის წინააღმდეგ სანქციები დააწესეს 2014 წელს და 2022 წელს, გამოკვეთს ერთ მნიშვნელოვან ტენდენციას, რომელიც უკრაინაში რუსეთის გაუმართლებელმა შეჭრამ გამოიწვია. ეს არის საერთაშორისო სანქციების გაფართოების ტენდენცია, რომელიც აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ სანქციების მიზნების და დანიშნულების უკეთ გასააზრებლად.

ზოგადად მიჩნეულია, რომ სანქციები რამდენიმე მიზანს ემსახურება: პირველი, სანქციები შემაკავებელი ინსტრუმენტის ფუნქციას ასრულებს, რომელიც ქვეყნებსა და სუბიექტებს, რომლებსაც სანქციები უწესდებათ, გარკვეული ქმედების შესრულების ან არშესრულებისკენ უბიძგებს. აპართეიდის ეპოქის სამხრეთ აფრიკის წინააღმდეგ გლობალური სამხრეთის მიერ დაწესებული სანქციების ისტორია, რომელსაც მოგვიანებით დასავლეთის ქვეყნებიც შეუერთდნენ, ნათელი მაგალითია იმისა, თუ როგორ უბიძგებს ასეთი სანქციები რეჟიმს, რომ გარკვეული მოქმედება განახორციელოს. აპართეიდის რეჟიმზე სანქციების გავლენამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა დიპლომატიური პროცესის განვითარებაში, რამაც ხელი შეუწყო დემოკრატიის დამყარებას 1994 წელს. ცივი ომის შემდგომი პერიოდის სანქციების ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ანალიზი, დანიელ დრეზნერის *„სანქციების პარადოქსი“* გვიხსნის, თუ როგორ შეიძლება ასეთი სანქციები ეფექტური იყოს და როდის არის მათი ეფექტურობა ნაკლებად მოსალოდნელი.[3] კერძოდ, ავტორი ასკვნის, რომ სანქციები მოკავშირეთა ქმედებების შეკავების ან წახალისების თვალსაზრისით უფრო ეფექტურია: ბირთვული იარაღის პროგრამასთან „შეთამაშების“ გამო, სამხრეთ კორეის წინააღმდეგ აშშ-ის სანქციების მუქარის ისტორია შედარებულია ამ მიმართულებით ჩრდილოეთ კორეის ქმედებების გამო მის წინაღმდეგ სანქციების დაწესების ისტორიასთან. მისი აზრით, სანქციებს უფრო მეტად მოჰყვება ცვლილებები იმ რეჟიმების პოლიტიკაში, რომლებიც თავიანთი მოსახლეობის ინტერესებს ითვალისწინებენ და რომლებსაც აქვთ კონტროლისა და ბალანსის დემოკრატიული სისტემები. ვლადიმერ პუტინის რუსეთი აქედან არც ერთ შემთხვევას არ წარმოადგენს, მაგრამ 2014 წელს ყირიმის უკანონო ანექსიის და უკრაინის დონეცკისა და ლუჰანსკის რეგიონებში დიდი ტერიტორიების ოკუპაციის შემდეგ დაწესებული არაერთი სანქცია ისახავდა მიზნად რუსეთის შეკავებას. ამ მიზნით, ახალი ინსტრუმენტებიც კი შეიმუშავეს, რომელიც შემდეგ თავში „სექტორული სანქციების“ ფარგლებშია განხილული.

თუმცა, სანქციები მხოლოდ შემაკავებელი ინსტრუმენტის ფუნქციას როდი ასრულებს. მათი გამოყენება ასევე შესაძლებელია უშუალოდ ომის დაფინანსების და იარაღისა თუ სხვა მასალების შესყიდვის შესაძლებლობის შესაზღუდად. ასეთი სანქციების არაერთი ისტორიული პრეცედენტი არსებობს. სანქციები ყოველთვის უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებდა კონფლიქტების დროს, არა მხოლოდ თანამედროვე ეპოქაში, არამედ მთელი ისტორიის მანძილზე - ნაცისტურ გერმანიასა და იმპერიულ იაპონიას არაერთი სანქცია დაუწესდა - ბლოკადით დაწყებული და ქონების ჩამორთმევით და ვაჭრობის აკრძალვით დამთავრებული. სავაჭრო ბლოკადები ჯერ კიდევ წერილობით წყაროებში მითითებული პირველი კონფლიქტების დროს ფიქსირდება. შემაკავებელ სანქციებსა და აღნიშნული ფორმის სანქციებს შორის განსხვავება აღწერილია ორ ძირითად კვლევაში: ნიკოლას მალდერის *„ეკონომიკური იარაღი“* და ჯენიფერ ჰარისისა და რობერტ ბლექვილის საერთო წიგნი *„ომი სხვა საშუალებებით“.*[4] ფართო გაგებით, ეს არის უშუალოდ სახელმწიფოს პოტენციალის წინააღმდეგ მიმართული სანქციები.

ვლადიმერ პუტინის რუსეთის შემთხვევაში, სანქციების აღნიშნული როლი მკაფიოა. უკრაინაში სრულმასშტაბიანი შეჭრისთანავე რუსეთის ცენტრალური ბანკის წინააღმდეგ დაწესებული სანქციებით დაახლოებით 310 მილიარდი აშშ დოლარი გაიყინა, რაც წინა ათწლეულის განმავლობაში პუტინის მიერ „ომის ხაზინის“ შესავსებად დახარჯული თანხის ნახევარია.[5]

რუსეთში ექსპორტზე დაწესებული სანქციები პირდაპირ მიმართულია კომპიუტერული ჩიპების წინააღმდეგ, რომელსაც კრემლი რაკეტების გამიზვნის სისტემის და კომპიუტერული რიცხვითი

მართვით (CNC) აღჭურვილი დანადგარების წარმოებაში იყენებს. აღნიშნული სანქციების მიზანია, რუსეთს შეუზღუდოს შესაძლებლობა - ცეცხლსასროლი იარაღი შექმნას თავისი ჯარისკაცებისთვის. რუსეთის ბანკებისა და ფინანსური სისტემის წინააღმდეგ დაწესებული სანქციები მიზნად ისახავს, კრემლს არ მისცეს საშუალება, რომ ნავთობისა და საქონლის გაყიდვით მიღებული მოგება რუსეთის შეიარაღებული ძალების სასრგებლოდ გამოიყენოს. ამავდროულად, ეს სანქციები ამცირებს რისკს, რომ კრემლი იმავე ექსპორტს გეოპოლიტიკური ზეწოლის საშუალებად გამოიყენებს, როგორც ევრაზიაში მოიქცა ჯერ კიდევ 2014 წელს უკრაინაში პირველად შეჭრამდე. ფაქტობრივად, უკრაინის კონტექსტში ყველა სანქცია პირველად თავად რუსეთმა გამოიყენა, მათ შორის ბუნებრივი აირის მიწოდების შეწყვიტა 2006 წელს და უკრაინული პროდუქციის იმპორტის აკრძალვა 2013 წელს, როდესაც ევრომაიდანის რევოლუცია ძლიერდებოდა და უკრაინელები ევროკავშირთან ასოცირების შესახებ ხელშეკრულებისკენ თავიანთი სწრაფვის გათვალისწინებას მოითხოვდნენ.[6] დღესდღეობით, საერთაშორისო დონეზე ყველაზე ფართოდ გამოყენებული სანქციები რუსეთის ომის მანქანის შეჩერების და პუტინის აგრესიული მიზნების შესრულების აღკვეთისკენ არის მიმართული.

რუსეთის საქართველოსთან დაახლოების, მის მიერ ცხინვალის რეგიონის და შიდა ქართლის რეგიონის სხვა ტერიტორიების (რომელსაც ის „სამხრეთ ოსეთს უწოდებს“) და აფხაზეთის ოკუპაციის, ასევე რუსეთის მიერ სანქციების გვერდის ავლისთვის გაწეული ძალისხმევის გათვალისწინებით, უდავოა, რომ ქართული აუდიტორიისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი სწორედ რუსეთის წინააღმდეგ დაწესებული სანქციების რეჟიმი იქნება. თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ სანქციათა სხვა რეჟიმების ცოდნა და გააზრება სასარგებლო არ არის. განსაკუთრებით საყურადღებოა შეერთებული შტატების მიერ გამოცემული სანქციები, რომელსაც, როგორც ქვემოთ არის აღნიშნული, „ექსტრატერიტორიული“ განზომილება აქვს, რაც მას სანქციების სხვა რეჟიმებისგან გამოარჩევს. მაგალითად, წარსულში ირანელი აქტორები შეეცადნენ საქართველო სანქციების გვერდის ავლისთვის გამოეყენებინათ, მაგრამ მათი მცდელობა უშედეგოდ დასრულდა.[7] მართალია ზოგიერთი ინსტრუმენტი, მაგალითად დიდი შვიდეულის ნავთობზე დაწესებული ზღვრული ფასი, კონკრეტულად პუტინის რეჟიმის საწინააღმდეგოდ არის შემუშავებული, მაგრამ ძირითადი ქვეყნების მიერ დაწესებული სანქციების ზოგადი სტრუქტურა და ფორმა მაინც მსგავსია. სანქციების ფორმისა და ფუნქციის მიმოხილვა მკითხველს სანქციების გარემოს უკეთ გააზრების საშუალებას მისცემს, არა მხოლოდ რუსეთთან მიმართებით, არამედ მთელი გეოპოლიტიკური მასშტაბით.

სანქციების ფორმები

შავი სიის სანქციები

შეერთებულ შტატებს, ევროკავშირს, დიდ ბრიტანეთს და სანქციების დამწესებელ სხვა ქვეყნებს სხვადასხვა ფორმის, ერთმანეთისგან განსხვავებული სანქციები აქვთ, მაგრამ ყველა მათგანი იყენებს სანქციების ფორმას, რომელიც აქტივებზე და ახალ ფინანსურ ტრანზაქციებზე წვდომას კრძალავს. ეს არის სანქციების ყველაზე „საბაზისო“ და ამავდროულად, ყველაზე აშკარა ფორმა. ასეთი სანქციები შეიძლება მიმართული იყოს კომპანიების, იურიდიული და ფიზიკური პირების წინააღმდეგ. მათი დაწესება ნიშნავს, რომ დასახელებულ პირებთან სანქციების დამწესებელი ორგანოს აშკარად გამოხატული ნებართვის გარეშე ყოველგვარი საქმიანი ურთიერთობა აკრძალულია. აღნიშნული ორგანოები სხვადასხვა ტერმინსა და აღნიშვნას იყენებენ, მაგრამ ზოგადად, ამგვარ სანქციებს „შავ სიებს“ უწოდებენ - ამ სიებში მოხვედრილ პირებს ეკონომიკური ურთიერთობა უჩერდებათ სანქციების დამწესებელ ქვეყანასთან და ყველა მესამე ქვეყანასთან, რომელიც სანქციებს უერთდება. შავი სიის სანქციების დამრღვევ პირებს შესაძლოა დაეკისროთ სისხლისსამართლებრივი სასჯელი, მათ შორის თავისუფლების აღკვეთა, ჯარიმები და თავად სანქციები.

შეერთებული შტატების მიერ დაწესებული შავი სიები – „სპეციალური სტატუსის მქონე მოქალაქეები“

ყველაზე მნიშვნელოვანი შავი სია შეერთებულმა შტატებმა შეადგინა, სახელწოდებით „სპეციალური სტატუსის მქონე მოქალაქეები“, რომელსაც შემოკლებით მოიხსენიებენ როგორც SDN. შეერთებული შტატების ფინანსთა სამინისტროს უცხოური აქტივების კონტროლის ოფისი (OFAC) არის ორგანო, რომელიც აღნიშნულ სანქციებს აწესებს და ზედამხედველობას უწევს მათ შესრულებას. მკაფიოდ არის გამიჯნული „სპეციალური სტატუსის მქონე მოქალაქეებისთვის“ (SDN) და „სპეციალური სტატუსის არმქონე მოქალაქეებისთვის“ (non-SDN) დადგენილი სანქციები, რადგან ეს უკანასკნელი ნაკლებად მკაცრ შეზღუდვებს აწესებს. „სპეციალური სტატუსის მქონე მოქალაქეების“ სია მითითებულ იურიდიულ და ფიზიკურ პირს ან ორგანიზაციას უკრძალავს წვდომას აშშ-ის ფინანსურ სისტემაზე და თითქმის ყველა სხვა სამსახურზე. გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ რამდენიმე იურიდიული სამსახური. მიუხედავად იმისა, რომ სავიზო აკრძალვა „სპეციალური სტატუსის არმქონე მოქალაქეებისთვის“ დაწესებულ სანქციებში შედის, ყველა ფიზიკურ პირს, რომელზეც SDN სანქციები ვრცელდება, ავტომატურად ეკრძალება შეერთებულ შტატებში შესვლა, გამონაკლისის სახით გაცემული ნებართვის გარეშე.

აღსანიშნავია, რომ SDN სიაში შეყვანა შეკრებითობის პრინციპს ექვემდებარება, რაც იმას ნიშნავს, რომ სანქცირებული პირების მფლობელობაში მყოფი კომპანია ავტომატურად სანქცირებულად მიიჩნევა, მიუხედავად იმისა, თუ რა წილს ფლობს თითოეული პირი კომპანიაში. მაგალითად, თუ კომპანიას ჰყავს 5 აქციონერი, რომელიც აქციათა საკონტროლო პაკეტს არ ფლობს და ყველა ეს აქციონერი SDN სიაშია შეყვანილი, ამ სტატუსის გამო დაწესებული შეზღუდვები კომპანიაზეც ვრცლდება, მიუხედავად იმისა, რომ თითოეულ აღნიშნულ აქციონერს მხოლოდ 10,001% წილი აქვს კომპანიაში.

„სპეციალური სტატუსის მქონე მოქალაქეებისთვის“ (SDN) დადგენილი სანქციები მხოლოდ ვლადიმერ პუტინის უახლოესი გარემოცვის წევრებს და რუსული ომის მანქანის ელემენტების წინააღმდეგ არ არის გამოყენებული. ასეთი სანქციების სამიზნეს ტერორისტული ჯგუფები და მავნე აქტორებიც წარმოადგენენ. სანქციები უშუალოს აშშ-ის ფინანსთა სამინისტროს უცხოური აქტივების კონტროლის ოფისის ვებ-გვერდზეა განთავსებული, თუმცა, მისი ნახვა სანქციების არაერთ სხვა მონაცემთა ბაზაშიც არის შესაძლებელი.

ამ საკითხზე უფრო დაწვრილებით ვისაუბრებთ თავში „ექსტრატერიტორიულობა და შეერთებულ შტატებთან კავშირი“, თუმცა, იმთავითვე უნდა აღინიშნოს, რომ შეერთებული შტატების SDN სანქციების და ასევე, შეერთებული შტატების მიერ დაწესებული ყველა სხვა სანქციის ყველაზე მნიშვნელოვანი მახასიათებელია მათი „ექსტრატრიტორიულობა“, სანქციების გავრცელების თვალსაზრსით. ეს კი ნიშნავს, რომ უცხოური აქტივების კონტროლის ოფისი და აშშ-ის იუსტიციის სამინისტრო სანქციების შესრულებას უზრუნველყოფს შეერთებული შტატების ფიზიკური საზღვრების მიღმაც.[8] მკვლევარებისთვის, პრაქტიკოსი სპეციალისტების, ანალიტიკოსებისა თუ სანქციებთან შესაბამისობის შემფასებლებისთვის ეს ნიშნავს, რომ შეერთებული შტატების მიერ დაწესებული სანქციების გავრცელებისას, დიდი ალბათობით, გათვალისწინებული არ იქნება, თუ სად ხორციელდება ბიზნეს ტრანზაქცია და ფიზიკურად რა ადგილმდებარეობა აქვთ ტრანზაქციის მხარეებს. სანქციის დარღვევისთვის დაწესებული უდიდესი ჯარიმებიდან რამდენიმე უკავშირდებოდა ტრანზაქციებს ისეთ დაწესებულებებსა და კომპანიებს შორის, რომელთა სათაო ოფისი მესამე ქვეყანაში მდებარეობს, მიუხედავად იმისა, რომ თავად ტრანზაქციაც მთლიანად საზღვარგარეთ ხორციელდებოდა.

დიდი ბრიტანეთის შავი სია

დიდ ბრიტანეთს შეერთებული შტატების „სპეციალური სტატუსის მქონე პირთა“ SDN სიის ზუსტი ანალოგი არ გააჩნია, მაგრამ „დიდი ბრიტანეთის სანქციების სიაში“ შეყვანამაც შეიძლება განაპირობოს შავი სიის სანქციის დაწესება. დიდი ბრიტანეთის სანქციების სია ეხება ფიზიკურ და იურიდიულ პირებს და გემებს, რომლებსაც დიდი ბრიტანეთის მთავრობის მიერ დადგენილი ფინანსური სანქციები უწესდებათ. აღნიშნული სანქციები შეიძლება გულისხმობდეს აქტივების გაყინვას, მოგზაურობის აკრძალვას და სხვა შემზღუდველ ზომებს, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანია „სატრასტო სერვისები“, რომელიც უახლესი ინოვაციაა და მიზნად ისახავს სანქციების თავიდან არიდების წინააღმდეგ ბრძოლას ისეთი სტრუქტურების გამოყენებით, რომელსაც განსაკუთრებულ უპირატესობას ანიჭებდნენ სანქციების ქვეშ მოყოლილი მაღალი შემოსავლების მქონე რუსი ფიზიკური პირები.[9] თუმცა, აშშ-ის SDN სიისგან განსხვავებით, ბრიტანეთის „შავი სიის“ სანქციებისთვის ინდივიდუალური, სპეციალიზებული სიისგან გამოყოფილი ცალკე სია არ არსებობს. უახლოეს ეკვივალენტებად ითვლებიან სიაში შეყვანილი პირები, რომლებსაც აქტივები გაეყინათ, სატრასტო სერვისებთან დაკავშირებული სანქციები და მოგზაურობის აკრძალვა დაუწესდათ.

დიდი ბრიტანეთისა და შეერთებული შტატების ‘შავი სიის“ სანქციებს შორის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი განსხვავება ის არის, რომ დიდი ბრიტანეთის მიერ დაწესებული ასეთი ტიპის სანქციები შეკრებითობის პრინციპს არ ექვემდებარება. თუ ორი კომპანია ან ფიზიკური პირი აშშ-ში დადგენილი SDN სანქციის ქვეშ ხვდება და თითოეული მათგანი მესამე კომპანიის აქციების 25.01%-ს ფლობს, მათი ერთობლივი საკუთრება 50%-ს აღემატება და შედეგად, აშშ-ს SDN სანქცია მესამე კომპანიაზეც გავრცელდება. დიდ ბრიტანეთში დაწესებული სანქციებით „სპეციალური

სტატუსის მქონე სხვადასხვა პირის მფლობელობაში არსებული აქციები ერთობლივად არ განიხილება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც, მაგალითად, კომპანიაში სპეციალური სტატუსის მქონე პირების წილები ან უფლებები ერთობლივი შეთანხმების საგანია ან სპეციალური სტატუსის მქონე ერთი პირი სპეციალური სტატუსის მქონე მეორე პირის უფლებებს განკარგავს“ .[10]

დიდი ბრიტანეთის სანქციების სიას მართავს და აქვეყნებს ფინანსური სანქციების განხორციელების სამსახური (OFSI), რომელიც მისი უდიდებულესობის სახაზინოს (HMT) ანუ ფინანსთა სამინისტროს ბრიტანულ ანალოგს ექვემდებარება. დიდი ბრიტანეთის სანქციების სია ხელმისაწვდომია დიდი ბრიტანეთის მთავრობის ოფიციალურ ვებ-გვერდზე და ასევე არაერთი მესამე მხარის მონაცემთა ბაზაში.

ევროკავშირის შავი სიის სანქციები

ევროკავშირს, ისევე როგორც დიდი ბრიტანეთს, შეერთებული შტატებისგან განსხვავებით, ერთი მკაფიოდ ჩამოყალიბებული ‘შავი სია“ არ აქვს. სანაცვლოდ, ევროკავშირში მოქმედებს სანქციების ერთიანი მონაცემთა ბაზა, რომელიც ცნობილია როგორც „ევროკავშირის სანქციების გაერთიანებული სია“. სიაში შედიან ფიზიკური პირები, იურიდიული პირები და ორგანოები, რომლებიც ევროკავშირის მიერ დაწესებულ შემზღუდველ ზომებს ექვემდებარებიან. პირები, რომლებზეც აქტივების გაყინვა და მოგზაურობის აკრძალვა ვრცელდება, საერთო ჯამში, SDN სიაში შეყვანილი პირების ეკვივალენტები არიან, რამდენადაც მათთვის შეზღუდულია ყველანაირი მომსახურება, იურიდიული მომსახურების გარდა. ევროკავშირი, დიდ ბრიტანეთთან და შეერთებულ შტატებთან შედარებით, სიების სასამართლოში გასაჩივრების უფრო მეტ შესაძლებლობას იძლევა, მაგრამ არა იმდენად, რომ სისტემისა და ბლოკის მიერ აღნიშნული სანქციების დაწესების პოტენციალს მნიშვნელოვანი საფრთხე შეექმნას.

სიაში შემავალი ორგანიზაციებისა და კორპორაციებისთვის, ევროკავშირი ასევე არეგულირებს ბლოკის მიერ დაწესებულ დამატებით სავაჭრო შეზღუდვებს, ევროპულ ბაზარზე წვდომის შეზღუდვებიდან დაწყებული და საქონლის ექსპორტის აკრძალვით დამთავრებული.

ევროკავშირის სანქციების ერთიანი სია ევროკავშირის ერთიანი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის (CFSP) ნაწილია. აღნიშნული სია ხელმისაწვდომია ბლოკის ვებ-გვერდებზე და ასევე მონაცემთა ბაზების უმეტესობაში. ზოგადად აკრძალული საქმიანობის განხორციელება და ლიცენზირება ევროკავშირის 27 წევრი სახელმწიფოს სანქციების ეროვნული ორგანოების პასუხისმგებლობაა, თუმცა, 2024 წლის 24 აპრილს, ევროპის პარლამენტმა და ევროპის საბჭომ დაასრულეს მუშაობა ახალ დირექტივაზე, რომელიც ბლოკისთვის სისხლის სამართლის დანაშაულებისა და ბლოკის სტანდარტების დარღვევისთვის სასჯელის განსაზღვრის წესებს ადგენს. წევრი სახელმწიფოები ვალდებული არიან, რომ დირექტივა 2025 წლის 20 მაისამდე აამოქმედონ.[11]

მაგნიცკის სანქციები

მაგნიცკის სანქციათა რეჟიმი, რომელსაც მაგნიცკის საერთაშორისო სანქციებსაც უწოდებენ, 2012 წლიდან არსებობს. ეს არის სანქციების ფორმა, რომელიც ადამიანის უფლებების დამრღვევების დასჯას ისახავს მიზნად. აღნიშნული სანქციები აშშ-ის კანონმდებლობაში პირველად 2012 წელს შეიტანეს, მაგრამ ამჟამად არსებული სახით „მაგნიცკის ადამიანის უფლებების დარღვევაზე პასუხისმგებლობის საერთაშორისო აქტის“ ინიცირება შეერთებულ შტატებში დაიწყო 2016

წელს. აქტში დადგენილია სანქციათა მოქმედი სტანდარტული რეჟიმი, რომელიც მიმართულია ადამიანის უფლებათა დარღვევასა და კორუფციაზე პასუხისმგებელი ფიზიკური და იურიდიული პირების წინააღმდგ.

კანონი რუსი იურისტის, სერგეი მაგნიცკის სახელს ატარებს, რომელიც მოსკოვის ერთ-ერთ იზოლატორში გარდაიცვალა მას შემდეგ, რაც სახელმწიფო კორუფცია გამოავლინა. მაგნიცკის კანონი ადამიანის უფლებათა სერიოზული დარღვევების და მსოფლიოს მასშტაბით კორუფციულ საქმიანობაში ჩართული პირების წინააღმდეგ სავიზო აკრძალვისა და აქტივების გაყინვის საშუალებას იძლევა. მაგნიცკის სანქციათა რეჟიმის საშუალებით შესაძლებელია მიზანმიმართული ზომების გატარება ფიზიკური და იურიდიული პირების მიმართ ნებისმიერ ქვეყანაში. სანქციათა ეს რეჟიმი კონკრეტული სახელმწიფოებით ან კონფლიქტებით არ შემოიფარგლება, რაც იმას ნიშნავს რომ არსებობს სხვადასხვა სამართლებრივი ორგანო, რომელიც კანონის აღსრულებას აკონტროლებს, განსაკუთრებით შეერთებულ შტატებში, და ამდენად, სანქციათა რეჟიმი გამყარებულია პირდაპირი კანონით და არა მხოლოდ შესაბამისი აღმასრულებელი განკარგულებებით.[12] მარტივად რომ ვთქვათ, ფუნდამენტური უფლებამოსილება მხოლოდ პრეზიდენტის მოქმედებით ვერ დაიძლევა, როგორც სანქციების შემთხვევაში, რომელიც მხოლოდ აღმასრულებელ განკარგულებებს ეყრდნობა და როგორც წესი, დაკავშირებულია კონკრეტულ კონფლიქტთან ან კრიზისთან. თუმცა, მაგნიცკის საერთაშორისო სიაში შეყვანის გავლენა ფაქტობრივად იგივეა, რაც SDN სიაში შეყვანა შეერთებულ შტატებში ან შავ სიაში შეყვანა ევროკავშირსა თუ დიდ ბრიტანეთში.

შეერთებულ შტატებში მაგნიცკის საერთაშორისო აქტის მიღების შემდეგ, რამდენიმე სხვა ქვეყანამაც მიიღო მსგავსი კანონი. 2017 წელს კანადამ მიიღო საკუთარი მაგნიცკის აქტი, ხოლო 2020 წელს დიდმა ბრიტანეთმა შემოიღო ადამიანის უფლებების დაცვასთან დაკავშირებული სანქციების საერთაშორისო რეგულაციები. ევროკავშირმა საკუთარი ვერსია - ევროკავშირის ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული სანქციების საერთაშორისო რეჟიმი მიიღო 2020 წლის დეკემბერში. ავსტრალია ამ ჯგუფს ავტონომიურ სანქციებში ცვლილებების შეტანის კანონპროექტით (მაგნიცკის ტიპის სანქციები და სხვა თემატური სანქციები) შემოუერთდა 2021 წლის დეკემბერში. აღნიშნული რეჟიმები ერთობლივად წარმოადგენს საერთაშორისო კოორდინირებულ ღონისძიებას, რომლის მიზანია, ადამიანის უფლებათა დამრღვევებსა და კორუმპირებულ სუბიექტებს პასუხი აგებინოს, ეკონომიკური და დიპლომატიური ინსტრუმენტების გამოყენებით და ხელი შეუწყოს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტების დაცვას.

ზემოაღნიშნული რეჟიმების მიხედვით დასანქცირებული მთავარი პირების სია ნათლად გვიჩვენებს სანქციების გავლენასა და მასშტაბებს. მაგალითად, აშშ-ის მაგნიცკის საერთაშორისო აქტის მიხედვით, 2018 წელს, ფინანსთა სამინისტრომ საუდის არაბეთში, ჟურნალისტ ჯამალ ხაშოგის მკვლელობაში გარეული ოფიციალური პირები დაასანქცირა. კანადაში, მიანმარის სამხედრო მოსამსახურეებს სანქციები დაუწესეს როჰინჯა ხალხის მიმართ ადამიანის უფლებების დარღვევის გამო. 2020 წელს, აშშ-მა ყირგიზეთში დაასანქცირა ბიზნესმენი, რომლის კორუფციული საქმიანობა სახელმწიფო საბაჟო სამსახურში გამომძიებელმა ჟურნალისტებმა გამოავლინეს. დიდმა ბრიტანეთმა სანქციები დააწესა რუსი ოფიციალური პირების წინააღმდეგ, რომლებიც ჩეჩნეთში ლგბტქ ადამიანების დაკავებასა და წამებაში მონაწილეობდნენ 2021 წელს. მაგნიცკის სანქციები ძირითადად იმით განსხვავდება SDN და შავი სიის სხვა პროგრამებისგან, რომ მაგნიცკის სანქციები მოქმედებს საერთაშორისო დონეზე და არა მხოლოდ ერთი, წინასწარ განსაზღვრული სამიზნის წინააღმდეგ, კონკრეტულ კონფლიქტზე ან კრიზისზე რეაგირების სახით, როგორც ეს პროგრამების უმეტესობის (მაგრამ არა ყველა პროგრამის) შემთხვევაში ხდება.

სექტორული სანქციები

2014 წელს რუსეთის მიერ ყირიმის ანექსიის შემდეგ, შეერთებულმა შტატებმა, ევროკავშირმა და დიდმა ბრიტანეთმა დააწესეს არაერთი სექტორული სანქცია, რომლებიც რუსეთის ეკონომიკის სხვადასხვა დარგის წინააღმდეგ იყო მიმართული. ეს იყო სპეციალური სანქციების ახალი რეჟიმი უშუალოდ კრემლის წინააღმდეგ და მისი მიზანი იყო რუსეთი ეიძულებინა, შეეცვალა თავისი ქმედებები უკრაინაში. იმდენად, რამდენადაც 2022 წელს უკრაინაში რუსეთის სრულმასშტაბიანი შეჭრის კვალდაკვალ სანქციებში აქცენტები შეიცვალა და რუსეთის შეკავების ნაცვლად ახლა მთავარი მიზანი ომის მანქანის შეზღუდვაა, გასაკვირი არ არის, რომ ზემოაღნიშნულ სანქციებს გაცილებით ნაკლები ყურადღება ეთმობა, მიუხედავად იმისა, რომ ეს სანქციებიც კვლავ ძალაში რჩება. მეორე მხრივ, არაერთი კომპანია, რომელსაც სექტორული სანქციები დაუწესდა, მოხვდა შავ სიაში, რომელმაც სექტორული სანქციები ჩაანაცვლა. ასე მოხდა, მაგალითად, რუსეთის სახელმწიფო კორპორაციის, „განვითარებისა და საგარეო ეკონომიკური საქმეთა ბანკის“ („ვნეშეკონომბანკი“ ანუ „ვებ“) შემთხვევაში. სექტორული სანქციების დამრღვევებს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის, ჯარიმების და თავად სანქციების დაკისრებაც ემუქრებათ.

აშშ-ის სექტორული სანქციები - „სექტორული სანქციების იდენტიფიკაციის (SSI) სია“

სექტორული სანქციების ფორმა, რომელიც შეერთებულმა შტატებმა შემოიღო და რომელსაც „უცხოური ინვესტიციების კონტროლის ოფისი (OFAC) მართავს SDN სიის სახით, არის „სექტორული სანქციების იდენტიფიკაციის სია“. არსებობს ოთხი ძირითადი დირექტივა, რომელიც შეიძლება ამოქმედდეს SSI სიაში შემავალი კომპანიების წინააღმდეგ; SSI სიაში შესაყვანად, მინიმუმ ერთი მათგანი მაინც უნდა იყოს გათვალისწინებული, თუმცა, ეს დირექტივები ფაქტობრივად ძირითადი დაწესებული შეზღუდვებია.

ბოლო ათწლეულის განმავლობაში აღნიშნული დირექტივები რამდენჯერმე უმნიშვნელოდ შეიცვალა, მაგრამ დღესდღეობით შემდეგი ფორმით არსებობს: დირექტივა 1: სამიზნე ფინანსური სექტორის კომპანიებზე ახალი აქციების ან სავალო ვალდებულებების 14 დღეზე ხანგრძლივი ვადით გაცემის აკრძალვა; დირექტივა 2: რუსეთში სამიზნე კომპანიებისთვის არქტიკული ოფშორული, ფიქლის ნავთობის ან ღრმა ზღვის ფსკერიდან მოპოვებული ნავთობის პროექტების მხარდასაჭერად სერვისების ან ტექნოლოგიების მიღების აკრძალვა; დირექტივა 3: რუსეთის თავდაცვასთან დაკავშირებულ სუბიექტებზე ახალი აქციების ან სავალო ვალდებულებების 14 დღეზე ხანგრძლივი ვადით გაცემასთან დაკავშირებული ოპერაციებში მონაწილეობის ან გარიგების დადების აკძალვა; და დირექტივა 4: სამიზნე ენერგო კომპანიებზე ახალი სავალო ვალდებულების ან აქციების 14 დღეზე ხანგრძლივი ვადით გაცემის აკრძალვა.

როგორც შეერთებული შტატების SDN სანქციების შემთხვევაში, შეერთებული შტატების სექტორული სანქციების აღსრულებასთან მიმართებითაც არსებობს ექსტრატერიტორიული ასპექტი. მართალია, ხშირ შემთხვევაში, სექტორული სანქციების ჩანაცვლება მოხდა, მაგრამ მათი დარღვევის საპასუხო ზომები კვლავაც მკაცრია, თუნდაც საქმე ეხებოდეს ტექნიკურ დარღვევას. ერთ-ერთი ბოლო ასეთი ქმედება იყო დავის რეგულირება OFAC-სა და აშშ-ს ერთ-ერთი უმსხვილესი ფინანსური კომპანიას, State Street-ს შორის, 2024 წლის 26 ივლისს.[13]

ევროკავშირისა და დიდი ბრიტანეთის სექტორული სანქციები

დიდი ბრიტანეთი და ევროკავშირი სანქციების ინდივიდუალურ სიებს არ იყენებენ იმისთვის, რომ შავი სიის სანქციების ქვეშ მოყოლილი სუბიექტები განასხვავონ სუბიექტებისგან, რომლებზეც სექტორული სანქციები ვრცელდება. ეს განსხვავებები მითითებულია „დიდი ბრიტანეთის სანქციების სიაში“ და „ევრო კავშირის სანქციების ერთიან სიაში“. სუბიექტები, რომლებზეც ევროკავშირის სექტორული სანქციები ვრცელდება, ჩამოთვლილია ევროპის საბჭოს 2022/328 რეგულაციის III დანართში.[14] როგორც ევროკავშირის, ისე დიდი ბრიტანეთის სანქციებით დაწესებული შეზღუდვები დიდწილად შეერთებული შტატების მიერ დაწესებულ შეზღუდვებს იმეორებს, თუმცა, 2022 წლამდე შესაბამისი კომპანიების მიერ ვალის დაფარვის ვადა 30 დღე იყო და არა 14. ევროკავშირი სექტორული სანქციების რეჟიმს ზემოაღნიშნული რეგულაციის მიხედვით იყენებს იმ მიზნითაც, რომ რუსული ფინანსური ინსტიტუტებისთვის ფინანსური მომსახურებისა და საინვესტიციო კონსულტაციების გაწევა აკონტროლოს.

სანქციები ექსპორტსა და იმპორტზე

ბლოკადა სახელმწიფოთაშორისი ეკონომიკური კონკურენციის ყველაზე ღრმად ფესვგადგმული ფორმაა, მაგრამ დღესდღეობით მისი განხორციელება უფრო მიზანმიმართულად ხდება. მის განსახორციელებლად გამოიყენება რეგულაციები, კანონმდებლობა, საგადასახადო და სატარიფო სტრუქტურები, რომელიც შემუშავებულია ვაჭრობის აკრძალვისთვის ცალკეულ ქვეყნებთან, კომპანიებთან, ფიზიკურ პირებთან და მთლიან ბაზრებთანაც კი. ბლოკადა შედარებით მცირე მასშტაბით ვლინდება „სავაჭრო ომებში“ და ანტიდამპინგურ ღონისძიებებშიც, მაგრამ საერთაშორისო და ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში უფრო ფართოდ გამოიყენება, ვიდრე ეკონომიკურ კონკურენციაში. მოკლედ რომ ვთქვათ, ბლოკადა ასევე გამოიყენება როგორც სანქციების ფორმა. მაგალითის სახით შეიძლება დავასახელოთ შეერთებულ შტატებში კუბური სიგარების იმპორტის აკრძალვა ათწლეულების განმავლობაში ან იარაღის ექსპორტის აკრძალვა გაეროს [15]ონტროლის ქვეშ მყოფ კონფლიქტურ ზონებში. სანქციების ეს ფორმა ასევე გავრცელდა რუსეთის უკრაინაში შეჭრის საპასუხოდ, სხვადასხვა სახით, როგორიც არის რუსული თევზის დიდ ბრიტანეთში ექსპორტზე მიზანმიმართულად დაწესებული ტარიფები; რუსეთისთვის რადიო, ავტომექანიკური, კომპიუტერული ტექნიკის და თუნდაც ინტელექტუალური საკუთრების მიწოდების აკრძალვა. აღნიშნული იმპორტის გარეშე, რუსეთის ომის მანქანა თანამედროვე სტანდარტებით ფუნქციონირებას ვერ შეძლებს.[15] ექსპორტზე დაწესებული სანქციებიც საერთაშორისო თანამშრომლობის შედეგია და სანქციებთან შესაბამისობაზეა დამოკიდებული არა მხოლოდ იმ ქვეყნებში, რომლებიც შეზღუდვებს აწესებენ ექსპორტზე, არამედ მესამე ქვეყნებსა და საერთაშორისო ლოგისტიკურ ქსელებშიც, რომლებიც მიწოდების ჯაჭვის გარკვეულ ნაწილს ახორციელებენ, წარმოებიდან რეექსპორტამდე. სანქციები, რომელიც რუსეთის ექსპორტის წინააღმდეგ არის მიმართული, მნიშვნელოვან როლს ასრულებს კრემლის შემოსავლების შეზღუდვაში და შესაბამისად, ასუსტებს მის შესაძლებლობას, რომ დააფინანსოს ომის მანქანა. ქვეყნებს, რომლებიც სანქციებს იცავენ ან სანქციებს უერთდებიან, აღნიშნული სანქციებით საშუალება ეძლევათ, რომ შეამცირონ რუსეთის ეკონომიკური აგრესიის პოტენციალი, რამაც ასეთი გადამწყვეტი როლი შეასრულა ბუნებრივი აირის მსოფლიო ბაზარზე მდგომარეობის გართულებაში და ხელი შეუწყო ინფლაციას 2019 წლიდან 2023 წლამდე, ევროპაში და ისეთ შორეულ ბაზრებზეც კი, როგორიც პაკისტანია.[16]

იარაღის აკრძალვა და ორმაგი დანიშნულების საქონლის ექსპორტზე დაწესებული შეზღუდვები

2014 წელს რუსეთის მიერ ყირიმის ანექსიის საპასუხოდ, დასავლეთის ქვეყნებმა, მათ შორის შეერთებულმა შტატებმა, დიდმა ბრიტანეთმა და ევროკავშირმა აკრძალვა დააწესა იარაღის ექსპორტზე და გააუქმა რამდენიმე არსებული შეთანხმება დასავლური თავდაცვის კომპანიების მიერ რუსეთისთვის იარაღის მიწოდების შესახებ. შემდგომში, რუსეთის სამხედრო მრეწველობასა და შეიარაღებულ ძალებზე დაწესებული შეზღუდვები გაცილებით შორს წავიდა და შეეხო ე.წ. „ორმაგი დანიშნულების საქონელსაც“, რომელიც გამოიყენება როგორც სამოქალაქო, ისე სამხედრო დანიშნულებით. გაფართოებული სანქციების ფარგლებში, რომელიც რუსეთის სამხედრო და ტექნოლოგიური პროგრესის შეკავებისკენ არის მიმართული, ორმაგი დანიშნულების საქონელი რუსეთისთვის მოწინავე ტექნოლოგიის ხელმისაწვდომობის შეზღუდვის თვალსაზრისით კრიტიკულად მნიშვნელოვანია, რამდენადაც შეუძლია რუსეთის თავდაცვისუნარიანობა გაზარდოს. ორმაგი დანიშნულების საქონლის მიწოდების შეზღუდვით

შესაძლებელია რუსული სამხედრო ტექნიკის წარმოების შენელებაც. ორმაგი დანიშნულების საქონლის ექსპორტის აკრძალვა მიმართულია ისეთი დარგების წინააღმდეგ, როგორიც არის ენერგეტიკა, აერონავტიკა და საინფორმაციო ტექნოლოგიები, რაც რუსეთს ხელს უშლის სამხედრო ინფრასტრუქტურის მოდერნიზებასა და დახვეწილი კიბეროპერაციების განხორციელებაში. ძირითადი შეზღუდვები ვრცელდება პროდუქტებზე, ტექნოლოგიაზე და საბაზისო ინტელექტუალურ საკუთრებაზე და არა სანქცირებულ ან სანქციათა სიაში სხვაგვარად შეყვანილ ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე, რაც იმას ნიშნავს, რომ რუსეთის ნებისმიერი კონტრაგენტის მიერ მათი იმპორტი აკრძალულია. აკრძალული საქონელია, მაგალითად, მიკროპროცესორები, დანადგარის ნაწილები და საკისრები. სანქციების დამწესებელი შესაბამისი ორგანოები ასეთ საქონელს HS6 კოდებს ანიჭებს იდენტიფიკაციისთვის. კოდები აღებულია საქონლის აღწერისა და კოდირების ჰარმონიზებული სისტემიდან, რომელიც საერთაშორისო სტანდარტს წარმოადგენს და წევრ სახელმწიფოებს შორის სავაჭრო ანგარიშგების მარეგულირებელი მსოფლიო საბაჟო ორგანიზაციის მიერ კონტროლდება.

2022 წელს რუსეთის უკრაინაში შეჭრიდან მოყოლებული, ორმაგი დანიშნულების საქონლის ექსპორტზე დაწესებული შეზღუდვები მნიშვნელოვნად გაფართოვდა და გაძლიერდა. საქონლის ჩამონათვალი, რომელზეც შეზღუდვები ვრცელდება, გაიზარდა და ახლა უკვე მოიცავს სამხედრო და სამრეწველო მიზნებისთვის საჭირო ტექნოლოგიების, კომპონენტებისა და მასალების უფრო ფართო სპექტრს. სანქციების გაფართოება კოორდინირებული იყო დასავლელ მოკავშირეებს შორის, რათა სანქციები ყოვლისმომცველი ყოფილიყო, მისი აღსრულება კი - ეფექტური. ამ სტრატეგიის ძირითადი კომპონენტი იყო პრიორიტეტული საქონლის საერთო სიის შედგენა, სადაც განისაზღვრა რუსეთის სამხედრო და ეკონომიკური დარგებისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობის მქონე კონკრეტული მაღალტექნოლოგიური საქონელი და ტექნოლოგიები. სანქციების განსაზღვრული პრიორიტეტული საქონლის საწინააღმდეგოდ მიმართვით, დასავლური ქვეყნები მიზნად ისახავდნენ, ჩამოეშალათ რუსეთის მიწოდების ჯაჭვი, შეემცირებინათ მისი სამხედრო შესაძლებლობები და ეკონომიკური ზეწოლა მოეხდინათ მასზე, შემდგომი აგრესიის შესაჩერებლად.

პრიორიტეტული საქონლის საერთო სია სანქციების მიმართულებით ძირითადი თანამშრომლობის კიდევ ერთი მაგალითია, რამდენადაც მას აკონტროლებს ე.წ. „ექსპორტის წესების დაცვის უზრუნველყოფის ხუთეული“, რომელშიც შედიან კანადა, ავსტრალია, შეერთებული შტატები, დიდი ბრიტანეთი და ახალი ზელანდია. აღნიშნული ქვეყნები ერთად მუშაობენ სანქციების დაცვის ერთობლივი გზამკვლევის გამოცემაზეც.[17] იაპონიამ და ევროკავშირმა ასევე ერთობლივი ძალებით შეიმუშავეს „პრიორიტეტული საქონლის საერთო სია“, თავიანთი საკუთარი ორმაგი დანიშნულების საქონლის ექსპორტის შეზღუდვებისთვის, ხოლო ისეთმა ქვეყნებმა, როგორიც არის ჩინეთის რესპუბლიკა (ტაივანი), სამხრეთ კორეა, სინგაპური და შვეიცარია, დააწესეს შეზღუდვები, რომელიც, ძირითადად, ურთიერთგადამფარავია.

სიები ხელმისაწვდომია შესაბამის სამთავრობო ვებ-გვერდებზე, ამჟამად კი მიმდინარეობს მუშაობა მოცულობითი მონაცემთა ბაზების შექმნაზე. უკრაინაც ასევე აწარმოებს სანქციების საკუთარ სიას, რომელიც მინიმუმ სასარგებლო ინსტრუმენტია, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ პირდაპირ არის ნაჩვენები, როგორ იყენებს გარკვეულ საქონელს რუსეთის ოქმის მანქანა. თუმცა, ძირითადი წყარო მაინც, რა თქმა უნდა, შეერთებული შტატების მრეწველობისა და უსაფრთხოების ბიუროა (BIS), აშშ-ს ექსტრატერიტორიულობის მნიშვნელობის გათვალისწინებით. მრეწველობისა და უსაფრთხოების ბიუროს (BIS), ისევე როგორც ზემოაღნიშნულს ორგანოებს, „პრიორიტეტული საქონლის საერთო სიის“ საკუთარი

ვერსია აქვს, რომელიც მის ვებ-გვერდზეა ხელმისაწვდომი, მაგრამ ის ასევე აწარმოებს „იურიდიულ პირთა“ სიას, „აკრძალულ პირთა“ სიას და „სანქცირებულ პირთა“ სიას, რაც მნიშვნელოვანია სანქციების სხვა პროგრამებისთვის და ექსპორტის „წითელი დროშის“ პრინციპით შემოწმებისთვის მესამე ქვეყნებში, განსაკუთრებით ისეთ ქვეყნებში, რომლებსაც რუსეთთან სავაჭრო ურთიერთობა აქვთ.[18] შეერთებული შტატების სია განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მისი ექსტრატერიტორიულობის გამოც. მაგალითად, თუ კომპანია მესამე ქვეყანაში ყიდის პროდუქტს, რომელიც შეიცავს ამერიკაში წარმოებულ დეტალს ან ამერიკულ ინტელექტუალურ საკუთრებას, მას ასეთი საქონლის რუსეთში ექსპორტი ეკრძალება მრეწველობისა და უსაფრთხოების ბიუროს (BIS) თანხმობის გარეშე, თუნდაც პროდუქტი უკვე გამოყენებული იყოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, კომპანიას სანქციები და ჯარიმები ემუქრება.

რუსულ ნავთობზე დაწესებული სანქციები – G7-ის ზღვრული ფასები

რუსული ექსპორტის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი შეზღუდვაა ეგრეთ წოდებული „ნავთობის ზღვრული ფასი“, რომელზეც თავდაპირველად შეთანხმდნენ დიდი შვიდეულის ქვეყნები (კანადა, საფრანგეთი, გერმანია, იტალია, იაპონია, დიდი ბრიტანეთი და აშშ), ასევე ევროკავშირი და ავსტრალია, 2022 წლის დეკემბერში. „ზღვრული ფასის“ მიზანია, რომ შეზღუდოს კრემლის პოტენციური შემოსავლები, რომელსაც ის რუსული ნავთობის გაყიდვით იღებს. ქვეყნების ჯგუფს, რომლებიც აღნიშნულ შეზღუდვას უერთდებიან, ერთობლივად „G7+ ზღვრული ფასის კოალიცია“ ეწოდებათ. ამ ჯგუფში ასევე შედის იაპონიაც.

მარტივად რომ ვთქვათ, ნავთობის ზღვრული ფასის დაწესება კრძალავს მომსახურებას და ურთიერთობას რუსულ ნავთობკომპანიებთან, რომელთა ფასები აღემატება 60 დოლარს ერთ ბარელ ნედლ ნავთობზე, 100 დოლარს ერთ ბარელ დამატებითი ღირებულების გადამუშავებულ პროდუქტზე, როგორიც არის თვითმფრინავის საწვავი და დიზელის საწვავი, და 45 დოლარს ერთ ბარელ გადამუშავებულ პროდუქტზე, როგორიც არის თხევადი საწვავი.[19] ნავთობის ზღვრული ფასი ამოქმედდა 2023 წლის თებერვალში და ზღვრულ ფასთან შესაბამისობის თანმხლები რეჟიმი, რომელსაც „G7+ ზღვრული ფასის კოალიცია“ აკონტროლებს, განახლდა 2023 წლის 20 დეკემბერს.[20] შესაბამისად, კოალიციის მომსახურების პროვაიდერებს დაუწესდათ მოთხოვნა, რომ რუსული ნავთობის გადაზიდვისას ან გადატვირთვისას, ყოველ ჯერზე დასტური მიიღონ კონტრაგენტებისგან. გარდა ამისა, მიწოდების ჯაჭვში ჩართულ მხარეებს დაუწესდათ მოთხოვნა, რომ მოიპოვონ წვდომა დეტალურ დამატებით ხარჯებზე, როგორიც არის დაზღვევისა და საფრახტო ხარჯები, და ეს მონაცემები მიწოდების ჯაჭვის დანარჩენ მხარეებს გაუზიარონ. ნავთობის ზღვრული ფასის დაწესება მიზნად ისახავდა, რომ შეემცირებინა რუსეთის მიერ სანქციების გვერდის ავლის შესაძლებლობა, რაც იმ მომენტისთვის ძირითადად გულისხმობდა ნავთობის ოფიციალურად გაყიდვას ზღვრულ ფასზე ოდნავ დაბალ ფასად, და შემდეგ, დაზღვევისა და ტრანსპორტირების ღირებულების მომატებას, სხვაობის კომპენსირებისთვის. ამგვარად პარტნიორები ისე წარმოაჩენდნენ სიტუაციას, თითქოს სანქციებს იცავდნენ. სანქციების რეჟიმთან შესაბამისობას სანქციების დამწესებელი შესაბამისი ორგანოები აკონტროლებენ „G7+ ზღვრული ფასის კოალიციაში“ შემავალ ქვეყნებში, მაგრამ იმ კომპანიებმაც კი, რომლებიც აღნიშნული ქვეყნების ფარგლებს გარეთ ოპერირებენ, უნდა გაითვალისწინონ რისკები, რომელიც მათი მიწოდების ჯაჭვის პარტნიორებს ექმნებათ სხვა ქვეყნებში. გარდა ამისა, ასეთ კომპანიებს თავადაც შეიძლება დაემუქროთ აშშ-ს ან სხვა მესამე ქვეყნის მიერ დაწესებული სანქციები, დაზღვევის ან სხვა ფინანსური მომსახურების საერთაშორისო შესყიდვით შეძენისას, რაც მათ აუცილებლად უნდა გაითვალისწინონ.

რუსული საქონლის ექსპორტზე დაწესებული სანქციები

შეერთებულმა შტატებმა, დიდმა ბრიტანეთმა და ევროკავშირმა დააწესა სანქციები, რომელიც კრძალავს რუსული ლითონის, განსაკუთრებით კი ფოლადის, ასევე ოქროსა და ბრილიანტის იმპორტს. ევროკავშირი, როგორც წესი, გვიან უერთდება რუსული წარმოშობის ბრილიანტითა და ოქროთი ვაჭრობის შეზღუდვას და მისი ამჟამად მოქმედი სანქციები, რომელიც შეზღუდვებს აწესებს რუსული ლითონის იმპორტზე, შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის მიერ დაწესებულ სანქციებზე ნაკლებად მასშტაბურია, ამ მიმართულებით მათ მიერ ბოლოს დაწესებული სანქციების გათვალისწინებით, რომელიც 2024 წლის 12 აპრილს გამოიცა და რუსული ფოლადის, ალუმინის, სპილენძისა და ნიკელის პირდაპირი აკრძალვის გარდა, რუსული ლითონის მწარმოებელ კომპანიებს, მათ შორის მესამე ქვეყანაში არსებულ მათ საწყობებს უკრძალავს პროდუქციის მიწოდებას ლონდონის ლითონის ბირჟის და ჩიკაგოს სასაქონლო ბირჟისთვის.[21]

შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთისგან განსხვავებით, ევროკავშირი რუსული სპილენძის, ალუმინისა და ნიკელის იმპორტს კვლავ არ ზღუდავს და ასევე, გარკვეულ გამონაკლისებს უშვებს რუსულ ფოლადსა და რკინაზე დაწესებულ შეზღუდვებზეც.[22] თუმცა, თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ რუსული ფოლადის მწარმოებელი უამრავი კომპანიაა შეყვანილი სპეციალური სტატუსის მქონე პირების სიაში და ექვემდებარება შავი სიის სხვა სანქციებსაც, მათ შორის თავად ევროკავშირის სანქციებს, ევროპაში რუსული ლითონის ექსპორტის საერთო დონე მნიშვნელოვნად შემცირდა ომამდელ წლებთან შედარებით, მათ შორის COVID-19 პანდემიის გავლენის გამოც.[23] გარდა ამისა, ევროკავშირმა, შეერთებულმა შტატებმა და დიდმა ბრიტანეთმა აკრძალა რუსული ნავთობის პირდაპირი იმპორტი, თუმცა ევროკავშირში დროებით დაშვებული იყო რამდენიმე გამონაკლისი ბულგარეთის,[24] უნგრეთისა და სლოვაკეთისთვის.[25]

სავარაუდოდ, მომავალში კვლავ დაწესდება სანქციები რუსულ ექსპორტზე, როგორც ქვემოთ არის აღნიშნული თავში **„სანქციების ტენდენციები“.** ზოგიერთ სფეროში, ქვეყნებს შორის უკვე არსებობს მზარდი დიფერენციაცია და 2024 წლის მაისში, შეერთებული შტატები გახდა პირველი ქვეყანა, რომელმაც რუსული ურანის იმპორტი აკრძალა აშშ კონგრესის მიერ მიღებული და აშშ პრეზიდენტის, ჯო ბაიდენის მიერ ხელმოწერილი კანონით, მაგრამ ეს ეტაპობრივად მოხდება მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში.[26]

როგორც სანქციათა სხვა პროგრამების შემთხვევაში, რუსულ ექსპორტზე დაწესებული სანქციების დარღვევა შესაძლოა დაისაჯოს სისხლისსამართლებრივი დევნით, ჯარიმებით და დამატებითი სანქციებით. და ბოლოს, უნდა აღინიშნოს, რომ ზემოთ მოყვანილი მაგალითები ამომწურავი არ არის და რუსეთის წინააღმდეგ დაწესებულია კიდევ არაერთი მნიშვნელოვანი სანქცია, როგორიც არის რუსეთის სარკინიგზო და საავტომობილო გადამზიდავების ევროკავშირში შესვლის აკრძალვა ან 2024 წლის შეთანხმებით, ბლოკის მიერ აკრძალვის დაწესება ევროკავშირისთვის ბუნებრივი აირის მიყიდვაზე, უცხოური აქტივების კონტროლის ოფისის (OFAC) მიერ დაწესებული მასშტაბური აკრძალვები ამერიკის მოქალაქეების მიერ ახალ რუსულ ბიზნესებში, აქციებსა და სესხებში ინვესტირებაზე.[27]

სანქციებთან დაკავშირებული კანონები და სანქციების დამწესებელი ორგანოები

საერთაშორისო სანქციათა რეჟიმების დაწესების პროცესში უამრავი მმართველი ორგანო, საკანონმდებლო აქტი და ნორმატიული დოკუმენტია ჩართული. წინამდებარე თავში წარმოდგენილია ზოგადი ინფორმაცია და აღწერილია აღნიშნული კომპონენტები შეერთებულ შტატებში, ევროკავშირსა და დიდ ბრიტანეთში სანქციების დამწესებელ ძირითად იურისდიქციებში. სხვადასხვა თვალსაზრისით, სანქციებთან დაკავშირებული კანონმდებლობა და სანქციების დამწესებელი ორგანოები ყველაზე მარტივი ფორმით არსებობს დიდ ბრიტანეთში, თუ გავითვალისწინებთ, რომ ძირითადი ჩარჩო სულ ახლახანს შემოიღეს (ბრექსიტის პროცესის ფარგლებში, თითქმის ყველა სანქცია, რომელიც დიდი ბრიტანეთის ევროკავშირის წევრობის დროს დაწესდა, ქვეყნის შიდა კანონმდებლობაშიც გადმოიტანეს). ყველაზე რთული ფორმა, შეიძლება ითქვას, რომ არსებობს შეერთებულ შტატებში, სადაც, როგორც მაგნიცკის სანქციებთან დაკავშირებულ პუნქტში აღვნიშნეთ, შეიძლება შეგვხვდეს სხვადასხვა ფედერალური სააგენტოს მიერ და სხვადასხვა საკანონმდებლო აქტით გამოცემული სანქციები, რომელიც კონკურენტულია და ერთმანეთს იმეორებს; საკმაოდ რთულია ევროკავშირში არსებული სანქციებთან დაკავშირებული კანონებიც, განსაკუთრებით, აღსრულებასთან დაკავშირებით, რომელიც ეროვნული ხელისუფლების პასუხისმგებლობაა და ჯერ კიდევ სტანდარტიზაციის პროცესშია მთელ ბლოკში.

ამრიგად, წინამდებარე ნაშრომში ჯერ დიდ ბრიტანეთში არსებულ სანქციების დამწესებელ ორგანოებსა და კანონებს განვიხილავთ და შემდეგ გადავალთ ევროკავშირსა და შეერთებულ შტატებზე. ნაშრომის ბოლოს ყურადღებას გავამახვილებთ შეერთებული შტატების მიერ დაწესებული სანქციების ექსტრატერიტორიულობის და შეერთებულ შტატებთან კავშირის კონცეფციაზე, რომელიც უკვე არაერთგზის ვახსენეთ. აღნიშნული კონცეფცია უაღრესად მნიშვნელოვანია, რამდენადაც შეერთებული შტატების მიერ დაწესებულ სანქციებს მასშტაბურობას ანიჭებს სხვა ქვეყნების მიერ დაწესებულ სანქციებთან შედარებით, მათ შორის რუსეთის წინააღმდეგ დაწესებული სანქციების თვალსაზრისით, რაც ასევე დეტალურად იქნება განხილული.

სანქციების დამწესებელი ორგანოები და სანქციებთან დაკავშირებული კანონები დიდ ბრიტანეთში

დიდ ბრიტანეთში, სანქციების მართვა და აღსრულება, უპირველესად ფინანსური სანქციების აღსრულების ოფისის (OFSI) პასუხისმგებლობაა. სააგენტო ვალდებულია, უზრუნველყოს ფინანსური სანქციების სათანადოდ გააზრება, განხორციელება და აღსრულება დიდ ბრიტანეთში. ფინანსური სანქციების აღსრულების ოფისი (OFSI) 2016 წელს დაარსდა ფინანსური სანქციების გააზრების, განხორციელებისა და აღსრულების გასაუმჯობესებლად და სანქციათა რეჟიმის დამწესებელ ცენტრალურ ორგანოდ იქცა დიდ ბრიტანეთში. OFSI-ს პასუხისმგებლობაში ასევე შედის კომპანიებთან ურთიერთობა და სასანქციო ლიცენზიებზე მათი მოთხოვნების დამუშავება.

დიდ ბრიტანეთში სანქციების სამართლებრივი საფუძველი რამდენიმე ძირითად კანონშია ჩადებული. ძირითადი კანონია „სანქციებისა და ფულის გათეთრების საწინააღმდეგო აქტი 2018

(SAMLA)“, რომელიც დიდი ბრიტანეთის მთავრობას უფლებამოსილებას ანიჭებს, რომ დააწესოს, განაახლოს და მოხსნას სანქციები, მათ შორის ფინანსური, სავაჭრო და საემიგრაციო შეზღუდვები, გაეროს წინაშე ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ან საგარეო პოლიტიკისა და ეროვნული უსაფრთხოების მიზნების განხორციელებისთვის. აქტი უზრუნველყოფს, რომ დიდმა ბრიტანეთმა სანქციების დამოუკიდებლად განხორციელება შეძლოს, ევროკავშირიდან მისი გამოსვლის შემდეგ.

გარდა ამისა, SAMLA აქტის მიხედვით, გამოიცა სპეციალური რეგულაციები, რომელიც სანქციათა კონკრეტულ რეჟიმებს ეხება. მაგალითად, რეგულაციები შეიძლება მიმართული იყოს კონკრეტული ქვეყნების, იურიდიული ან ფიზიკური პირების წინააღმდეგ,რომლებიც ჩართულია არიან ქმედებებში, როგორიც არის ტერორიზმი, ადამიანის უფლებათა დარღვევა ან მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელება. რეგულაციებში დაწვრილებით არის აღწერილი დაწესებული შეზღუდვები, რომელიც შეიძლება მოიცავდეს აქტივების გაყინვას, მოგზაურობის აკრძალვას და სავაჭრო შეზღუდვებს.

სანქციების აღსრულებასთან დაკავშირებული დამატებითი კანონებიც ასევე ეფუძნება კანონებს, როგორიც არის, „ეკონომიკურ დანაშაულებათა აქტი (გამჭვირვალობა და აღსრულება) 2022“, რომელიც მიზნად ისახავს სანქციების აღსრულების, კონტროლისა და გამოყენების გაუმჯობესებას. მართალია აღნიშნული კანონი სანქცია არ არის, მაგრამ აკონტროლებს აუხსნელი სიმდიდრის განკარგვას დიდ ბრიტანეთში და შეიძლება გამოყენებული იყოს იმ პირების აქტივების საწინააღმდეგოდ, რომლებმაც დიდ ბრიტანეთში არალეგალურად მოპოვებული სიმდიდრე შეიტანეს, კორუფციისა და სხვა დარღვევების საშუალებით.

დიდ ბრიტანეთში სანქციების აღსრულება, OFSI-ს გარდა, სხვა სამთავრობო უწყებებთან კოორდინაციასაც მოიცავს, როგორიც არის, მაგალითად, დანაშაულთან ბრძოლის ეროვნული სააგენტო (NCA) და იუსტიციის სამინისტროს სამართალდამცავი ორგანოები. გარდა ამისა, სანქციების პოლიტიკის შემუშავება და ანალიზი ხორციელდება დიდი ბრიტანეთის საგარეო, თანამეგობრობისა და განვითარების სამინისტროს და ბიზნესისა და ვაჭრობის დეპარტამენტის მხარდაჭერით.

სანქციების დამწესებელი ორგანოები და სანქციებთან დაკავშირებული ძირითადი კანონები ევროკავშირში

ევროკავშირში, სანქციების დაწესებას და აღსრულებას ძირითადად ევროკომისია, ევროკავშირის საბჭო და ევროპის საგარეო ქმედებათა სამსახური (EEAS) მართავს. ევროკავშირის საბჭო პასუხისმგებელია საგარეო საქმეთა და უსაფრთხოების პოლიტიკის საკითხებში უმაღლესი წარმომადგენლის მიერ შემოთავაზებული და ყველა წევრ სახელმწიფოსთან შეთანხმებული სანქციების მიღებაზე. სანქციის მიღების შემდეგ, ევროკომისია უზრუნველყოფს მის სათანადო განხორციელებას და აღსრულებას ევროკავშირში.

ევროკავშირში სანქციების სამართლებრივ საფუძველს ევროკავშირის რეგულაციების და გადაწყვეტილებების ერთობლიობა წარმოადგენს. ევროკავშირს სანქციების დაწესების უფლება მინიჭებული აქვს „ევროკავშირის შესახებ ხელშეკრულების (TEU)“, კერძოდ კი ხელშეკრულების 21-ე და 29-ე მუხლების საფუძველზე, სადაც აღწერილია ევროკავშირის საგარეო საქმეთა და უსაფრთხოების ერთიანი პოლიტიკა (CFSP). ამ ჩარჩოს ფარგლებში, ევროკავშირს შეუძლია

დააწესოს შემზღუდველი ზომები, როგორიც არის აქტივების გაყინვა, მოგზაურობის აკრძალვა და ვაჭრობის შეზღუდვა. ეს ღონისძიებები ხორციელდება საბჭოს რეგულაციების საშუალებით, რომელიც პირდაპირ მოქმედებს ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში და ერთგვაროვნებას უზრუნველყოფს მთელი ევროკავშირის მასშტაბით.

საბჭოს რეგულაციები სანქციების განხორციელების ძირითადი სამართლებრივი ინსტრუმენტებია, სადაც დაწვრილებით არის აღწერილი სანქციებთან შესაბამისობის წესები და პროცედურები. რეგულაციები სამართლებრივად სავალდებულოა და ევროკავშირში ყველა ფიზიკურ და იურიდიულ პირს ევალება მისი დაცვა. ევროკავშირში სანქციათა 40-ზე მეტი სხვადასხვა „რეჟიმია“. ტერმინი „რეჟიმი“ აღნიშნავს სანქციათა ცალკეულ პროგრამას, რომელიც დაკავშირებულია სხვადასხვა კრიზისთან, კონფლიქტთან, მავნე აქტორების ჯგუფთან ან გაეროში დაარსებულ და ევროკავშირის კანონმდებლობაში გადმოტანილ პროგრამებთან. აღნიშნულ რეჟიმებსა და მათ რეგულაციებს ემატება საბჭოს გადაწყვეტილებები, რომელიც სანქციების პოლიტიკურ კონტექსტს და მიზნებს განსაზღვრავს. ევროპის საგარეო ქმედებათა სამსახური და საგარეო საქმეთა უმაღლესი კომისრის ოფისი ასევე მნიშვნელოვან როლს ასრულებენ სანქციების პოლიტიკის განსაზღვრაში და მესამე ქვეყნებთან დიპლომატიურ ურთიერთობებში.

აღსრულებისა და ლიცენზირების საკითხი ეროვნული ორგანოების პასუხისმგებლობაში შედის და მიუხედავად იმისა, რომ ბლოკის ფარგლებში სანქციებთან დაკავშირებული სასჯელისა და ხარჯების სტანდარტიზაციის პროცესი მიმდინარეობს, ამან შეიძლება მნიშვნელოვანი განსხვავებები გამოიწვიოს ევროკავშირის 27 წევრ სახელმწიფოს შორის. 2022 წლის თებერვალში უკრაინაში რუსეთის სრულმასშტაბიანი შეჭრის შემდეგ, მნიშვნელოვნად გაიზარდა ეროვნული ორგანოების რაოდენობა. მაგალითად, 2022 წლის მაისში, გერმანიაში დაარსდა სანქციების აღსრულების ცენტრალური ოფისი.[28] თუმცა, ზოგიერთ წევრ სახელმწიფოში მსგავსი ორგანოები ჯერაც არ არსებობს და სანქციების აღსრულება, ასეთ შემთხვევაში, უმეტესად შესაბამის სისხლისსამართლებრივი დევნის განმახორციელებელ ორგანოებს ეკისრებათ.

სანქციების დამწესებელი ორგანოები და სანქციებთან დაკავშირებული ძირითადი კანონები შეერთებულ შტატებში

აშშ-ს მიერ დაწესებული სანქციები ეფუძნება რამდენიმე ძირითად კანონს, რომელიც შეერთებული შტატების მთავრობისთვის წარმოადგენს საკანონმდებლო ბაზას, ეროვნული უსაფრთხოებისა და საგარეო პოლიტიკის მიზნების მისაღწევად ეკონომიკური და სავაჭრო სანქციების დაწესების მიზნით. თუმცა, აღნიშნულ კანონებს ასევე ემატება აშშ-ს პრეზიდენტის აღმასრულებელი შტოს ფართო უფლებამოსილებები და ორივე ერთობლივად ქმნის დღეს არსებული სანქციების ინსტრუმენტებს.

ერთ-ერთი უმთავრესი კანონი - ეს არის 1917 წელს მიღებული „მტერთან ვაჭრობის კანონი (TWEA)“, რომელიც პრეზიდენტს ომის დროს მტრულად განწყობილ სახელმწიფოებთან ვაჭრობის რეგულირების უფლებამოსილებას ანიჭებს. შემდგომში TWEA საფუძვლად დაედო სანქციებთან დაკავშირებულ კანონებს და გადამწყვეტ როლს ასრულებდა I მსოფლიო ომისა და შემდგომი კონფლიქტების დროს. მიუხედავად იმისა, რომ მისი გამოყენება დიდწილად უფრო თანამედროვე კანონებით ჩანაცვლდა, TWEA აშშ-ს სანქციების პოლიტიკის ისტორიული განვითარების მნიშვნელოვანი ნაწილია.

1997 წლის „საერთაშორისო საგანგებო ეკონომიკური უფლებამოსილების აქტი (IEEPA)“, შეიძლება ითქვას, რომ თანამედროვე სანქციებისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი კანონია. IEEPA პრეზიდენტს უფლებამოსილებას ანიჭებს, რომ შეერთებული შტატების მიმართ საზღვარგარეთიდან მომდინარე ნებისმიერი უჩვეულო და განსაკუთრებული საფრთხის შემთხვევაში, ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადოს და ეკონომიკური ღონისძიებების ფართო სპექტრი დაარეგულიროს. აღნიშნული აქტის საფუძველზე, პრეზიდენტი უფლებამოსილია დაბლოკოს ტრანზაქციები და გაყინოს აქტივები, რაც აღმასრულებელ შტოს მძლავრ[29]ინსტრუმენტს აძლევს ეროვნული უსაფრთხოებისა და საგარეო პოლიტიკის მიმართ არსებული საფრთხის წინააღმდეგ საბრძოლველად.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი კანონია 1976 წელს მიღებული „კანონი საგანგებო მდგომარეობის შესახებ (NEA)“, რომლის საფუძველზე პრეზიდენტს შეუძლია საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადოს. კანონი ასევე აღწერს პროცედურებს, რომელიც საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებისას უნდა იყოს დაცული. NEA მოითხოვს, რომ პრეზიდენტმა დააზუსტოს, კონკრეტულად რა უფლებამოსილებას იყენებს და ანგარიში ჩააბაროს კონგრესს. თავად NEA სანქციებთან დაკავშირებულ კონკრეტულ უფლებამოსილებას არ იძლევა, მაგრამ IEEPA-სთან ერთად ხშირად გამოიყენება ეკონომიკური სანქციების განსახორციელებლად, პრეზიდენტის აღმასრულებელი განკარგულებების სახით, რომელიც საგანგებო ვითარების მართვის მიზნით გამოიცემა.

უცხოური აქტივების კონტროლის ოფისი (OFAC), რომელიც ფინანსთა სამინისტროს ექვემდებარება, აღმასრულებელი განკარგულებებისა და რეგულაციების საფუძველზე დაარსდა და არა სპეციალური საკანონმდებლო აქტის. მისი ფუნქციაა ეკონომიკური და სავაჭრო სანქციების მართვა და აღსრულება, შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკისა და ეროვნული უსაფრთხოების მიზნების შესაბამისად. OFAC-ის უფლებამოსილება ეფუძნება პრეზიდენტისთვის TWEA-სა და IEEPA-ს მსგავსი კანონებით მინიჭებულ უფლებამოსილებას და მის შემდგომ დელეგირებას ფინანსთა სამინისტროს მიმართ. OFAC აკონტროლებს ცალკეულ სანქციათა რეჟიმს, მიუხედავად იმისა, რომ, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, სანქცირების ზოგიერთი უკიდურესი ინსტრუმენტი, როგორიც, მაგალითად SDN სიაში შეყვანაა, შეიძლება იგივე იყოს. ზოგიერთი პროგრამა სპეციალურად სანქციათა კონკრეტულ რეჟიმებზეა მორგებული. ასეთია, მაგალითად, ზემოთ ნახსენები სექტორული სანქციები და SSI სია. ეს რეჟიმები აღმასრულებელი განკარგულებებით ხორციელდება. ათზე მეტი მსგავსი განკარგულება გამოსცეს აშშ-ს პრეზიდენტებმა ბარაკ ობამამ, დონალდ ტრამპმა და ჯო ბაიდენმა.

რუსეთის წინააღმდეგ დაწესებული სანქციები, სხვა ქვეყნების წინააღმდეგ დაწესებული სანქციების მსგავსად, სპეციალური კანონების საფუძველზეა მიღებული. ამგვარად ამოქმედებული სანქციების ცალმხრივად მოხსნა აღმასრულებელ შტოს არ შეუძლია პრეზიდენტის ხელმძღვანელობით, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ შესაბამის აღმასრულებელ ორგანოებს, როგორიც არის OFAC, პრეზიდენტის მიერ დანიშნული პირი ხელმძღვანელობს, და ამ ორგანოებს მნიშვნელოვანი მოქმედების თავისუფლება აქვთ კანონის საფუძველზე დაწესებული სანქციების განხორციელებასთან მიმართებითაც კი.

სანქციებთან დაკავშირებული კანონების ყველაზე თვალსაჩინო მაგალითია 2017 წელს მიღებული „ამერიკის მტრების წინააღმდეგ სანქციების საშუალებით ბრძოლის აქტი“, იგივე CAATSA, რომელიც მოითხოვს წინა წლებში რუსეთის წინააღმდეგ აღმასრულებელი

განკარგულებით ინიცირებულ სანქციათა რეჟიმის შენარჩუნებას და წარმოადგენს სანქციათა დამატებითი პროგრამების სამართლებრივ საფუძველს ჩრდილოეთ კორეისა და ირანის წინააღმდეგ. CAATSA კანონი ასევე ითვალისწინებს სანქციების დაწესებას ძირითადი ექსპორტირებული რუსული იარაღის მყიდველების წინააღმდეგ, თუმცა აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოები მნიშვნელოვან დისკრეციულ უფლებას ინარჩუნებენ გასატარებელი ღონისძიებების განსაზღვრისას, რასაც მოწმობს თურქეთის, ჩინეთისა და ინდოეთის წინააღმდეგ რუსული S-400 სარაკეტო თავდაცვის სისტემის შეძენის გამო დაწესებული სხვადასხვა ზომა.[29]

მიუხედავად იმისა, რომ OFAC უდავოდ არის სანქციების დამწესებელი ყველაზე მნიშვნელოვანი სააგენტო და სანქციებთან დაკავშირებული ლიცენზიების გამცემი მთავარი ორგანო, ის შეერთებული შტატების სანქციების დამწესებელი ერთადერთი ორგანო არ არის. როგორც ზემოთ, ექსპორტსა და იმპორტზე დაწესებული სანქციების თავში აღვნიშნეთ შეერთებული შტატების მრეწველობისა და უსაფრთხოების ბიურო, რომელიც სავაჭრო დეპარტამენტის შემადგენლობაში შედის, ძირითად როლს ასრულებს ორმაგი დანიშნულების საქონლისა და სხვა ტექნოლოგიების შეზღუდვების კონტროლის მიმართულებით; იგი ასევე განსაზღვრავს პირებს, რომლებსაც აღნიშნული საქონლის ექსპორტით მიღება ეკრძალებათ და საჭიროების შემთხვევაში, გასცემს ლიცენზიას. გარდა ამისა, შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტში არსებობს „თავდაცვითი ვაჭრობის კონტროლის დირექტორატი“, რომელსაც ეკისრება თავდაცვითი პროდუქციისა და მომსახურების ექსპორტისა და იმპორტის ზედამხედველობა და მართვა, აშშ-ს „იარაღის ექსპორტის კონტროლის აქტის“ (AECA) და „იარაღის საერთაშორისო გადაზიდვის წესების (ITAR)“ საფუძველზე. აღმასრულებელი ხელისუფლების უფრო ფართო შტოებთან ერთად, შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის სხვა განყოფილებებიც მონაწილეობენ სანქციებთან დაკავშირებულ კვლევაში, საგანმანათლებლო ღონისძიებებში, დაკვირვების პროცესში და პოლიტიკის შემუშავებაში. და ბოლოს ფინანსური დანაშაულებისა და აღსრულების ქსელი, იგივე FinCEN, რომელიც OFAC-ის მსგავსად, შეერთებული შტატების ფინანსთა სამინისტროს შემადგენლობაში შედის, სანქციებთან შესაბამისობის გაუმჯობესების მიზნით, ასევე მნიშვნელოვან როლს ასრულებს სანქციების დარღვევის შესახებ ინფორმაციის მიწოდებაში და რჩევებისა და შეტყობინებების გავრცელებაში.

ექსტრატერიტორიულობა და შეერთებულ შტატებთან კავშირი

დიდი დაბნეულობა არსებობს იმასთან დაკავშირებით, თუ რა მასშტაბი და ძალა აქვს ამერიკულ სანქციებს საერთაშორისო დონეზე, თუმცა, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ეს სანქციები აშშ-ის კანონმდებლობისა და ნორმატიული აქტების ნაწილია, ხოლო საერთაშორისო ფინანსური სისტემა ძირითადად ეყრდნობა სტრუქტურებს, რომელიც აღნიშნული კანონებით იმართება და რომელსაც მჭიდრო კავშირი აქვს შეერთებული შტატების ფინანსურ სისტემასთან. შეერთებული შტატების ექსტრატერიტორიული კანონმდებლობის ერთი სტანდარტული განსაზღვრება არ არსებობს და აშშ-ს უზენაესმა სასამართლომ ფაქტობრივად დაამტკიცა პრეზუმფცია ამერიკული კანონების ექსტრატერიტორიული გამოყენების წინააღმდეგ.[30] თუმცა, აშშ-ის იუსტიციის სამინისტრო და OFAC სანქციების დარღვევას განსაზღვრავენ იმის საფუძველზე, თუ რამდენად აქვს განსახილველ ტრანზაქციას აშშ-სთან კავშირი ნებისმიერ ეტაპზე. აშშ-სთან კავშირი შეიძლება არსებობდეს, თუ შემდეგი პირობებიდან ერთ-ერთი მაინც არის დაკმაყოფილებული: (ა) თუ ტრანზაქციაში ჩართულია აშშ-ს მოქალაქეობის/მწვანე ბარათის მქონე პირი, (ბ) თუ პროდუქტს ამერიკული შემცველობა აქვს ან ამერიკული ტექნოლოგიის პირდაპირი შედეგია, (გ)

თუ ამერიკის მოქალაქეები იღებენ ადმინისტრაციულ გადაწყვეტილებებს, (დ) თუ ტრანზაქცია აშშ-ს ტერიტორიას გადის, (ე) თუ ტრანზაქცია ამერიკული წარმოშობის ინტელექტუალურ საკუთრებას ან პროდუქტს მოიცავს, ან (ვ) თუ ტრანზაქცია ამერიკულ სისტემებში გადის.[31]

შედეგად მიიღება ამერიკულ სანქციათა რეჟიმების დე ფაქტო ექსტრატერიტორიულობა, რომელსაც ხშირად არასწორად უწოდებენ „მეორადი სანქციების“ გამოყენებას. „მეორადი სანქციები“ რეალურად აღნიშნავს საფრთხეს, რომ სანქციები დაწესდება სანქციების დარღვევის გამო. არსებობს ამერიკული სანქციების ნამდვილი ექსტრატერიტორიული კომპონენტიც, მაგრამ საჭიროა მისი დამტკიცება კანონის ან აღმასრულებელი განკარგულების საფუძველზე.

რუსეთის წინააღმდეგ დაწესებული სანქციების შემთხვევაში, გამოყენებული იყო პრეზიდენტ ჯო ბაიდენის მიერ 2023 წლის 22 დეკემბერს გამოცემული აშშ-ის აღმასრულებელი განკარგულება 14114. განკარგულება ამერიკის ფინანსთა სამინისტროს და შესაბამისად, OFAC-ს აშკარა უფლებამოსილებას ანიჭებს, რომ „უცხოურ ფინანსურ ინსტიტუტებს დაუწესონ მითითებული სანქციები ...., თუკი დადგინდება, რომ ფინანსური ინსტიტუტი: (i) ახორციელებდა რაიმე მნიშვნელოვან ტრანზაქციას ან ტრანზაქციებს ან ხელს უწყობდა ამ ტრანზაქცი(ებ)ის განხორციელებას ისეთი პირის სასარგებლოდ... რომელიც სანქცირებულია იმის გამო, რომ საქმიანობს ან საქმიანობდა რუსეთის ფედერაციის ეკონომიკის დარგებში, როგორიც არის ტექნოლოგია, თავდაცვა და მასთან დაკავშირებულ მასალები, მშენებლობა, აერონავტიკა ან წარმოების დარგები, ასევე სხვა სფეროებში, რომელიც შეიძლება ხელს უწყობდეს რუსეთის სამხედრო სამრეწველო ბაზის საქმიანობას...; ან (ii) ახორციელებდა რაიმე მნიშვნელოვან ტრანზაქციას ან ტრანზაქციებს ან ხელს უწყობდა ამ ტრანზაქცი(ებ)ის განხორციელებას, უზრუნველყოფდა მომსახურებას, რომელიც რუსეთის სამხედრო სამრეწველო ბაზასთან არის დაკავშირებული, მათ შორის, რუსეთის ფედერაციისთვის ისეთი პროდუქტის ან ისეთი კლასის პროდუქციის პირდაპირ ან ირიბად მიყიდვა, მიწოდება ან გადაცემა, რომელიც შეიძლება შეზღუდული იყოს ფინანსთა სამინისტროს მიერ, სახელმწიფო მდივანთან და ეკონომიკის მინისტრთან შეთანხმებით.“ ბრძანებაში ასევე გარკვევით არის აღნიშნული, რომ სანქციები შეიძლება დაუწესდეს უცხოურ ფინანსურ ინსტიტუტებს, რომლებიც მსგავს ტრანზაქციებში მონაწილეობენ, თუნდაც ამას კავშირი არ ჰქონდეს აშშ-სთან, მიუხედავად იმისა, ასეთ ტრანზაქციებში მონაწილეობა „გაცნოებიერებულად ხდება თუ გაუცნობიერებლად“. განკარგულება კიდევ უფრო გაფართოვდა განსაზღვრების გადახედვის შედეგად, რომელიც OFAC-მ 2024 წლის 12 ივნისს გამოაცხადა. გაფართოების შედეგად, განკარგულება გავრცელდა ყველა პირზე, რომელსაც ეხებოდა აღმასრულებელი განკარგულება 14024, რომლის საფუძველზე ამჟამად ხდება რუსეთთან დაკავშირებული პირების SDN სიაში შეყვანა.[33] აღნიშნული აღმასრულებელი განკარგულებებისა და OFAC-ის რეგულაციების შედეგი ის არის, რომ ყველანაირი ტრანზაქცია, რომელიც რუსი ფიზიკური და იურიდიული პირების და რუსული ორგანიზაციებისთვის დაწესებულ სანქციებს არღვევს, წარმოადგენს მეორადი სანქციის დაწესების რისკს, თუნდაც მას კავშირი არ ჰქონდეს შეერთებულ შტატებთან.

სიტუაციური ანალიზი

პირველი მაგალითი – G7+ ნავთობზე დაწესებული ზღვრული ფასი

G7+ ნავთობზე დაწესებული ზღვრული ფასი რუსეთის მიერ ომის პერიოდში მოგების მიღების შეზღუდვის მთავარი ინსტრუმენტია. საზღვარგარეთ ნავთობის გაყიდვა რუსეთის ფედერალური ბიუჯეტის შევსების ყველაზე მსხვილი წყაროა. წინა ათწლეულის განმავლობაში, ამ გზით მიღებულმა შემოსავალმა რუსეთის ფედერალური ბიუჯეტის 30-დან 50%-მდე შეადგინა.[34] ეს შემოსავლები პირდაპირ კრემლის ომის ხაზინაში მიედინება. უკრაინელები და აქტივისტები მთელი მსოფლიოს მასშტაბით მოითხოვდნენ, რომ სანქციები დაწესებულიყო რუსულ ნავთობზე, რისი პრეცედენტიც უკვე არსებობდა შეერთებულ შტატებში, ირანულ ნავთობთან მიმართებით. თუმცა, ზღვრული ფასი მხოლოდ აღნიშნული მოთხოვნების საპასუხოდ არ შეუმუშავებიათ. მიზანი ასევე იყო რისკის შემცირება, რათა ვლადიმერ პუტინს კიდევ ერთხელ არ მისცემოდა საშუალება, რომ ენერგომომარაგება გამოეყენებინა, როგორც გეოეკონომიკური ინსტრუმენტი და მოეპოვებინა უკრაინაში მისი გაუმართლებელი შეჭრის მხარდაჭერა. თუ რუსული ნავთობის ექსპორტი ნულოვან ნიშნულზე ჩამოვა, ძალიან დიდია რისკი, რომ მსოფლიოში საერთაშორისო ნავთობის ფასები კატასტროფულად გაიზრდება, რაც განვითარებად და განვითარებულ სამყაროში კრიზისს გამოიწვევს, იმავდროულად კი საფრთხეს შეუქმნის უკრაინის სუვერენიტეტის და რუსეთის აგრესიის მიმართ მისი წინააღმდეგობის მხარდაჭერას. ზღვარი შემუშავდა როგორც ამ პრობლემის მოგვარების მცდელობა, რამდენადაც ზღვრული ფასი შეზღუდავს შემოსავლებს, რომლებიც შეიძლება კრემლმა მიიღოს ნავთობის გაყიდვებიდან.

ზღვარი დამოკიდებულია მოთხოვნის დაკმაყოფილებასა და მხარდაჭერაზე იმ ქვეყნების მხრიდან, რომლებიც ჩართული არიან რუსული ნავთობით ვაჭრობაში, მაგრამ G7+ ზღვრული ფასის კოალიციაში არ შედიან. ასეთი არაერთი ბაზარი არსებობს, მაგრამ ისიც მართალია, რომ საერთაშორისო გადაზიდვების დაზღვევისა და ვაჭრობის დაფინანსება, ისევე როგორც ნავთობით საერთაშორისო ვაჭრობისთვის საჭირო სხვა სერვისები, ხორციელდება დასავლეთში ან შეერთებულ შტატებთან, ევროკავშირთან ან დიდ ბრიტანეთთან დაკავშირებული ინსტიტუტების მიერ. პირველი მათგანი განსაკუთრებით აქტუალურია, რადგან საერთაშორისო ბაზარზე ნავთობით ვაჭრობა ძირითადად აშშ დოლარში ხდება, უკვე ათწლეულებია. ამრიგად, დაწესებულმა ზღვარმა კრემლი აიძულა შემოსავლების მნიშვნელოვანი ნაწილი დაეხარჯა ზღვრული ფასის თავიდან ასაცილებლად და ამ მიზნით მეგობრულ იურისდიქციებში სტრუქტურების შესაქმნელად, სავაჭრო ორგანიზაციების საბოლოო მფლობელის დამალვის, ასევე სასაქონლო ზედნადების და სხვა სავაჭრო ინსტრუმენტების შენიღბვისა ან მონაცემების განზრახ დამახინჯების გზით.

თუმცა, ყველაზე რთული პროცესებიც კი არ არის დაცული სანქციების რისკისგან. ერთ-ერთი მაგალითის სახით შეიძლება დავასახელოთ ფონდი, რომელიც უცხოური აქტივების კონტროლის ოფისმა (OFAC) აშშ-ის სპეციალური სტატუსის მქონე მოქალაქეთა სიაში შეიყვანა, 2023 წლის 20 დეკემბერს. სიაში შეყვანა, ნავთობზე ზღვრული ფასის ზემოაღნიშნულ კორექტირებასთან ერთად, მიმართული იყო ჰონგ კონგსა და არაბეთის გაერთიანებულ საემიროებში დაფუძნებული

კომპანიების წინააღმდეგ, რომლებმაც ზღვრული ფასის შემოღების შემდეგ მკვეთრად გაზარდეს რუსული ნავთობით ვაჭრობის მოცულობა და ამას დადგენილი წესების დარღვევით აკეთებ-დნენ.[35] ამ კომპანიების სახელები ადრეც ფიგურირებდა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში, ისეთი ავტორიტეტული გამოცემების სტატიებში, როგორიც არის Reuters და Bloomberg, ზოგიერთ შემთხვევაში, ჯერ კიდევ 2023 წლის მარტში.[36] მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული კომპანიები მაღალი რისკის შემცველ ოფშორულ იურისდიქციებში მდებარეობდა და მათი მფლობელების შესახებ ინფორმაცია იმალებოდა, საბოლოოდ მაინც საკმარისი მტკიცებულება შეგროვდა, სიაში მათ შესაყვანად. სანქციები სრულყოფილი ინსტრუმენტი არ არის და ხშირად საჭირო ხდება კორუმპირებული პირების კვალში ჩადგომა. სწორად ასე მოხდა, როდესაც ქსელთან კავშირის მქონე ერთ-ერთი გემი დაასანქცირეს და სამი თვის შემდეგ, მისი მფლობელის მიკვლევის შედეგად, OFAC-მ საბოლოოდ შეძლო კომპანიის და უფრო ფართო ქსელის მთავარი წევრების წინააღმდეგ სანქციების დაწესება. ეს მაგალითი ნათლად გვიჩვენებს, რამდენად მნიშვნელოვანია მასობრივ საინფორმაციო საშუალებებში მაღალი რისკის მატარებელი სუბიექტების შესახებ გამოქვეყნებული უარყოფითი ინფორმაციისთვის თვალის მიდევნება და შესაძლებლობა, რომ სანქციები უშუალოდ იმ პირებს დაუწესდეთ, რომლებიც სანქციებს არღვევენ.

მეორე მაგალითი – რუსეთის ცენტრალური ბანკის შავ სიაში შეყვანა და SWIFT-ის სანქციები

რუსეთის წინააღმდეგ დაწესებულ სანქციებს შორის ყველაზე დიდი გავლენა მოახდინა უკრაინაში რუსეთის სრულმასშტაბიანი შეჭრიდან სულ რაღაც სამ დღეში შეერთებული შტატებისა და უკრაინის სხვა მოკავშირეების მიერ რუსეთის ცენტრალური ბანკის - ოფიციალური სახელწოდებით „რუსეთის ფედერაციის ცენტრალური ბანკის“ SDN სიაში შეყვანამ, მასზე „შავი სიის სხვა სანქციების“ გავრცელებამ და რუსული ბანკების დიდი უმრავლესობის გარიცხვამ ბანკთაშორისი საფინანსო ტელეკომუნიკაციების საზოგადოებიდან - SWIFT. მყისიერი შედეგი იყო ის, რომ კრემლს 310 მილიარდ დოლარზე მეტ თანხაზე წვდომა აეკრძალა ომის ხაზინაში, რომელიც მან უკრაინაში შეჭრის წინ შეავსო, რამდენადაც ორგანიზაციები, სადაც რუსეთის ფედერაციის ცენტრალური ბანკის ფულადი სახსრები, ინვესტიციები და სხვა აქტივები არსებობდა, მდებარეობდა იურისდიქციებში, რომლებმაც დააწესეს სანქციები ან იცავდნენ მათ. გრძელვადიანი შედეგები გაცილებით მასშტაბური იყო, რადგან რუსეთში და მის გარეთ უცხოური ვალუტის გადარიცხვის გართულების გამო. შედეგად, რუსეთში არსებული უცხოური „მყარი“ ვალუტების ღირებულება შემცირდა.

მარტივად რომ ვთქვათ, რუსული რუბლი ფართოდ გამოყენებული ან ფართოდ კონვერტირებადი ვალუტა არ არის უცხოეთში, რომ აღარაფერი ვთქვათ კრემლის მიერ საკუთარ კაპიტალზე დაწესებულ შეზღუდვებზე, რომელიც მან მნიშვნელოვნად გაამკაცრა უკრაინაში რუსეთის სრულმასშტაბიანი შეჭრის შემდეგ, ქვეყნის შიგნით საკუთარ რეჟიმზე კონტროლის გასაძლიერებლად.[37] მეორე მხრივ, იმ ქვეყნების ვალუტები, რომლებმაც სანქციები დაუწესეს რუსეთს, მოიცავს საერთაშორისო ეკონომიკური წესრიგის მთავარ „მყარ ვალუტებს“, რომელიც ფართოდ კონვერტირებადია, სხვა ქვეყნების რეზერვებში ინახება და გამოიყენება ვაჭრობაში. ამიტომაც, თავად რუსეთი ცდილობს, საკუთარი ნავთობი აშშ დოლარში გაყიდოს. ცენტრალურ ბანკზე დაწესებული სანქციების და რუსული ბანკების SWIFT-ის სისტემიდან გარიცხვის გამო, უკიდურესად რთულია რუსეთში მყარი ვალუტის შეტანა და გამოტანა, როგორც ციფრულად, ისე ფიზიკურად. თუ დოლარს ერთი და იგივე ღირებულება აქვს, მნიშვნელობა არ აქვს, ის ბაჰამის

საბანკო ანგარიშზე ინახება, ფიზიკურად - ნაღდი ფულის სახით ინახება ვაშინგტონში თუ ლეიბის ქვეშ ინახება სინგაპურში, მაგრამ როგორც კი რუსეთის ან რუსთის მსგავსად მკაცრი სანქციების ქვეშ მოქცეული სხვა რომელიმე ქვეყნის საზღვარს გადაკვეთს დოლარი, ეს უკვე ასე აღარ არის.

კიდევ ერთხელ უნდა აღვნიშნოთ, რომ სანქციები სრულყოფილი ინსტრუმენტი არ არის და მყარი ვალუტა მაინც პოულობს გზას რუსეთში შესვლა-გამოსვლისთვის. ზოგიერთ ბანკს, რომელიც რუსეთში რჩება, ჯერ-ჯერობით SWIFT-ის სანქციები არ შეხებია. კერძოდ, ასეთი ბანკებია ავსტრიის ბანკი Raiffeisen Bank International და რუსეთის სახელმწიფო საკუთრებაში არსებული გაზპრომბანკი, რომელიც რუსული ნავთობისა და გაზის გაყიდვაში თავისი როლის გამო, აგრძელებს მუშაობას საერთაშორისო ინტერესების შესაბამისად, როგორც წინა მაგალითში იყო ახსნილი (მაგრამ გაზპრომბანკზე ვრცელდება SSI სანქციები). თუმცა, ხშირ შემთხვევაში, მყარი ვალუტის რუსეთიდან გაგზავნა ფარულად უწევთ, რამაც შეიძლება გამოიწვიოს სანქციების დარღვევა და, შედეგად, დაჯარიმება ან თუნდაც მეორადი სანქციების დაწესება. შედეგად, გამყარდა დისკონტი რუსეთში და მის ფარგლებს გარეთ არსებულ ვალუტებს შორის, რის გამოც ასეთ ტრანზაქციებში ჩართული ბროკერები დიდ საკომისიოს იღებენ,[38] განსაკუთრებით კრიპტოვალუტის სექტორში.

გარდა ამისა, რუსეთის ფედერაციის ცენტრალური ბანკის აქტივების გაყინვამ ასევე შესაძლებელი გახადა გაყინული ფულადი სახსრებიდან და ევროკავშირის მიერ დაკისრებული გადასახადებიდან მიღებული პროცენტის გამოყენება უკრაინის თავდაცვის დასაფინანსებლად.[41] ამავდროულად, დიდი შვიდეული დაეთანხმა აღნიშნული სახსრების უკრაინის დასახმარებლად გამოყენებას და უკვე მუშაობს გეგმაზე, რათა კიევს 50 მილიარდი აშშ დოლარის ღირებულების ესოდენ საჭირო დახმარება გაუწიოს 2024 წლის ბოლომდე.[40] ამრიგად, საერთაშორისო საზოგადოებამ, რომელიც რუსეთის წინააღმდეგ დაწესებული სანქციათა რეჟიმის უკან დგას, არა მხოლოდ რუსეთისთვის უკრაინაში შეჭრის დასაფინანსებლად გამოყენებული „ომის ხაზინის“ ჩამორთმევის გზა იპოვა, არამედ მისი აქტივები გამოიყენა უკრაინის თავდაცვის დასაფინანსებლად რუსეთის შემოჭრის წინააღმდეგ.

მესამე მაგალითი – არტემ უსის საქმე და ექსპორტის კონტროლის მნიშვნელობა

2022 წლის 19 ოქტომბერს, შეერთებული შტატების იუსტიციის სამინისტრომ გამოაცხადა, რომ ორი დღის წინ, ვაშინგტონის მოთხოვნით, იტალიაში დააპატიმრეს რუსი ბიზნესმენი, არტემ ალექსანდრეს ძე უსი. საბრალდებო დასკვნაში, რომელიც იმავდროულად გახსნეს მის წინააღმდეგ, აღნიშნული იყო, რომ რუსეთის ოთხ სხვა მოქალაქესთან და ვენესუელის ორ მოქალაქესთან ერთად უსს ბრალი ედებოდა ვენესუელის სახელმწიფო ნავთობკომპანია Petroleos de Venezuela S.A-სთან (PDVSA) დაკავშირებული სანქციების გვერდის ავლის სქემაში მონაწილეობა და ასევე, სანქციების გვერდის ავლა შეერთებული შტატებისგან სამხედრო და ორმაგი დანიშნულების ტექნოლოგიების უკანონოდ შეძენის მიზნით. საბრალდებო დასკვნაში მითითებული იყო, რომ უსმა და მისმა თანამზრახველებმა გერმანული კომპანია - Nord-Deutsche Industrieanlagenbau GmbH გამოიყენეს ფასადურ კომპანიად, რათა აღნიშნული შესყიდვის ოპერაციები შეენიღბათ და საბოლოოდ, კომპანიის მიერ იმპორტირებული საქონელი გადაეტანათ რუსეთში, სადაც მათი ტრანსპორტირება ხდებოდა სანქცირებულ კომპანიებში და რუსეთის თავდაცვის სექტორის სხვადასხვა ნაწილში.[41]

ქსელი, რომელსაც უსი ხელმძღვანელობდა, მარტივი არ იყო და მოიცავდა ფულად

გადარიცხვებს, GPS-ის სპუნფინგს და ტრანზაქციებს კრიპტოვალუტაში, რომლებიც გადასახადებისგან თავის არიდების რუსული სქემების დამახასიათებელი ნიშნებია, მაგრამ თავად მისი ჩართულობა მნიშვნელოვანი „წითელი დროშა“ უნდა ყოფილიყო ნებისმიერი პარტნიორისთვის. მისი დაკავების დროს, უსის მამა რუსეთის კრასნოიარსკის ოლქის გუბერნატორის თანამდებობას იკავებდა და შესაბამისად, კრემლის რეჟიმის ერთ-ერთი წამყვანი ფიგურა იყო.[42] კრემლთან მჭიდრო კავშირების მტკიცებულება კიდევ უფრო გამყარდა, რადგან მომდევნო წლის მარტში, როდესაც უსის ექსტრადიცია იგეგმებოდა, მან მოახერხა გაქცევა სახლიდან, სადაც ის დაკავებული ჰყავდათ და ეს შეძლო მხოლოდ ერთი დღის შემდეგ, რაც იტალიის სასამართლომ ექსტრადიცია დაამტკიცა. საბოლოოდ, ის გაიქცა რუსეთში, საიდანაც დახმარებისთვის მადლობა გადაუხადა „ძლიერ და სანდო ადამიანებს“. ეს სიტყვები ბევრმა აღიქვა, როგორც მადლობა რუსეთის სპეცსამსახურების მიმართ.[43]

ნაშრომის წერის მომენტში, 2024 წლის ივლისში, უსი კვლავ თავისუფალია, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ სანქციების აღსრულება შეწყდა. 2023 წლის დეკემბერში, შეერთებული შტატების იუსტიციის სამინისტრომ გამოაცხადა, რომ ხორვატიაში ბოსნიის მოქალაქე ვლადიმირ ჯოვანჩიჩი დააკავეს, უსის გაქცევის ხელშეწყობისთვის, და მას შეერთებულ შტატებში ექსტრადიცია ელის.[44] 2024 წლის ივნისში, იტალიის პოლიციამ შვეიცარიაში მცხოვრები რუსი ბიზნესმენი დიმიტრი ჭირაქაძე დააკავა სლოვენიის, სერბეთისა და ბოსნიის გავლით გაქცევის ორგანიზებაში ხელშეწყობის გამო.[45] თავად უსი ძებნაშია და მის დაკავებასთან დაკავშირებული ინფორ-მაციისთვის დაწესებულია ჯილდო, 7 მილიონი დოლარის ოდენობით.[46] ეს საქმე კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ სანქციების გვერდის ავლას შეიძლება შედეგად მოჰყვეს არა მხოლოდ სანქციები ან ჯარიმები, არამედ სისხლისსამართლებრივი დევნაც.

მიუხედავად იმისა, რომ უსი გაიქცა, სანქციების გვერდის ავლის ქსელი, რომელსაც ის მართავდა, დაიშალა. მისი გაქცევა წარუმატებლობა იყო, ისევე როგორც მისი სქემის დაგვიანებული აღმოჩენა, რომელიც, როგორც ამბობენ, 2019 წლიდან მოქმედებდა. თუმცა, ეს საქმე მაინც ხაზს უსვამს, რამდენად მნიშვნელოვანია სანქციებთან შესაბამისობის შემდგომი გაუმჯობესება და სანქციების თავიდან აცილების აღკვეთა. გარდა ამისა, უსის საქმე შეგვახსენებს, რომ კრემლისთვის ასეთი სახის ქსელების მუშაობა უაღრესად მნიშვნელოვანია. უსის და მისი თანამზრახველების მიმართ წაყენებული ბრალდებების თანახმად, დეტალები, რომელიც უსის ქსელს კონტრაბანდულად გადაჰქონდა, მოიცავდა რუსული წარმოების „სუხოის“ ტიპის მოიერიშე თვითმფრინავების წარმოებისთვის გამოყენებულ ნაწილებს. „კრიმინალური სქემის დახმარებით მოპოვებული იგივე ელექტრონული კომპონენტები აღმოაჩინეს უკრაინაში, ბრძოლის ველზე ამოღებული რუსული იარაღის პლატფორმებში““[47]. ის ფაქტი, რომ კრემლის მაღალი რანგის მოკავშირის ვაჟი იყო მსგავს საქმეში ჩართული, ხაზს უსვამს მსგავსი სქემების მნიშვნელობას რეჟიმისა და მისი ელიტისთვის, და ნათლად აჩვენებს, რაზე შეუძლია რუსეთს წასვლა სანქციების ძირის გამოსათხრელად.

სანქციების გამოყენების ტენდენციები – 2024 წლის ივლისი

სანქციები მუდმივად განვითარებადი ინსტრუმენტია. ქვეყნები, ფიზიკური და იურიდიული პირები, რომლებსაც სანქციები უწესდებათ, ყველა ღონეს მიმართავენ მათთვის თავის არიდებისა და გვერდის ავლისთვის, ამიტომ საჭირო ხდება, რომ სანქციები მუდმივად მოერგოს შექმნილ ვითარებას. გარდა ამისა, სანქციები, როგორც ინსტრუმენტი, გეომეტრიული პროგრესიით იზრდება არა მხოლოდ უკრაინაში რუსეთის შეჭრის საპასუხოდ, არამედ სხვა გეოპოლიტიკური კრიზისების და თემატური პრობლემების, მაგალითად, ადამიანის უფლებებისა და კორუფციის წინააღმდეგ მათი მზარდი გამოყენების გამოც. ამას მოწმობს ზემოთ წარმოდგენილი პუნქტი მაგნიცკის სანქციების შესახებ. შეერთებული შტატების, ევროკავშირის და დიდი ბრიტანეთის სანქციების დამწესებელი ორგანოები კვლავ აგრძელებს სანქცირებული სუბიექტების შესახებ განახლებული ინფორმაციის გამოცემას თითქმის ყოველკვირეულად და ზოგჯერ უფრო ხშირადაც. ამ მოვლენების შესახებ საქმის კურსში ყოფნა მთავარი ამოსავალი წერტილია ნებისმიერი პრაქტიკოსი სპეციალისტის, ანალიტიკოსის ან მკვლევარისთვის. თუმცა, სანქციებთან დაკავშირებით უფრო ფართო თემები და ტენდენციებიც არსებობს, რომელიც მომავალში მნიშვნელოვან როლს შეასრულებს უფრო ფართო ლანდშაფტის ჩამოყალიბებაში და მართებული იქნება, თუ მათ ცალკე განვიხილავთ. პირველი ტენდენცია - ეს არის მეორადი სანქციების საფრთხეების ზრდა, მათ შორის შეერთებული შტატების ფარგლებს გარეთ, განსაკუთრებით კი ევროკავშირში, რაც სანქციების უფრო ფართო რეჟიმს მნიშვნელოვან ექსტრატერიტორიულ კომპონენტს მატებს. მეორე ტენდენცია ახალი წესებისა და პროცედურების შემოღებაა, რომელიც სანქციებთან შესაბამისობის მოთხოვნებს უზრდის მესამე მხარეებს. მესამე - ეს არის მაღალი რისკის მატარებელი იურისდიქციების წინააღმდეგ მიმართული სანქციების ზრდა და ახალი ინსტრუმენტების შემუშავება, რომელიც მიზნად ისახავს, რომ მათ, ვინც სანქციების გვერდის ავლას ცდილობს, შეუზღუდოს შესაძლებლობა, დააარსონ ახალი კორპორატიული სტრუქტურები, რომელიც ზუსტად იმეორებს უკვე სანქცირებულ სტრუქტურებს, მაგრამ ახალი სუბიექტების ჩართულობით იქმნება. მეოთხე მნიშვნელოვანი ტენდენცია ექსპორტის კონტროლის გაფართოებაა პროგრამული უზრუნველყოფის სექტორში. ტრადიციულად გამოყენებული ინსტრუმენტების ადაპტირება ხდება ძირითადად აპარატულ უზრუნველყოფასა და ტექნოლოგიაზე სანქციების დაწესებისთვის. და ბოლოს, არსებობს სხვა ძირითადი ტენდენციებიც, რომელიც მომდინარეობს სანქციათა პროგრამების სხვა სფეროდან, მაგალითად ირანისა და ვენესუელას წინააღმდეგ მიმართული სანქციები, ასევე გეოეკონომიკური კონკურენციის შედეგად მიღებული გამოცდილება, მაგალითად, ჩინეთსა და დასავლეთს, განსაკუთრებით კი შეერთებულ შტატებს შორის სავაჭრო დაძაბულობა, რომელიც სანქციების დონემდე ჯერ არ მისულა, მაგრამ სანქციების პრაქტიკოსი სპეციალისტებისთვის პრაქტიკული გამოცდილებაა, რამდენადაც ამ ვითარებიდან მათ გარკვეული დასკვნების გამოტანა შეუძლიათ. მომდევნო წლებში გამოიკვეთება ახალი და ჯერ არაპროგნოზირებადი ტენდენციებიც. ამ ეტაპზე ასეთ სანქციებზე და მათ გააზრებაზე ყურადღების გამახვილება საკითხის უკეთ შესწავლას შეუწყობს ხელს და დაგვეხმარება, მომავალში მათი გამოვლენა უკეთესად შევძლოთ.

პირველი ტენდენცია – მეორადი სანქციების ზრდა ანუ სანქციების გვერდის ავლის საწინააღმდეგო ზომების გაძლიერება

ევროკავშირი თავისი ახალი, ექსტრატერიტორიული სანქციების რეჟიმის დაწესებისთვის ემზადება 2023 წლის ივნისიდან, როდესაც ევროკომისია შეთანხმდა, რომ რუსეთის წინააღმდეგ დაეწესებინა უკრაინაში მისი სრულმასშტაბიანი შეჭრის შემდეგ რიგით მე-12 სანქციათა პაკეტი. აღნიშნულ პაკეტში შედიოდა (ევროკავშირის) No 269/2014 რეგულაციის ახალი დანართი, ძირითადი დოკუმენტი, რომელიც საფუძვლად დაედო ევროკავშირის სანქციათა სიებს. დოკუმენტი სანქციების დაწესების საშუალებას იძლეოდა „მესამე ქვეყანაში მოქმედი ოპერატორების წინააღმდეგ, რომლებიც ხელს უწყობდნენ სანქციების გვერდის ავლას"[48]. არსებითად, ეს ნიშნავს სანქციების ახალი სიის შექმნას და ამ სიაში შეყვანილი პირებისთვის შეზღუდვების დაწესებას. ახალი სია პოტენციურად ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც ზემოთ განხილული ევროკავშირის უფრო ფართო „შავი სიები" და ევროკავშირის მიერ გადადგმული ყველაზე აშკარა ნაბიჯია, რადგან აჩვენებს, რომ ევროკავშირს, შეერთებული შტატების მსგავსად, სურს მესამე ქვეყანაში მოქმედ სუბიექტებს სანქციები დაუწესოს სანქციების გვერდის ავლისთვის, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც მათ ტრანზაქციის ფარგლებში უშუალო კავშირი არ აქვთ ბლოკთან, მით უმეტეს, თუ ასეთი კავშირის თავიდან აცილება განსახილველი სტრუქტურის არსებითი მახასიათებელია.

თუმცა, ბევრი რამ მაინც გაურკვეველი რჩება. ნაშრომის დაწერის მომენტში, 2024 წლისთვის ევროკავშირს სანქციების სიაში არ შეუყვანია სანქციების გვერდის ავლის ხელშემწყობი არც ერთი პირი. დიდი ალბათობით, ეს მომავალში მოხდება, მაგრამ კვლავ გაურკვეველია სანქციის გვერდის ავლის პოტენციური შესაძლებლობის მასშტაბის მიმართ როგორი ხედვა არსებობს და რა განსაზღვრებებზე შეთანხმდებიან: როგორც ზემოთ აღინიშნა, ევროკავშირში სანქციების აღსრულება წევრ სახელმწიფოებს ეკისრებათ, სანქციების სიაში შეყვანა დიდწილად, ხოლო რუსეთის საწინააღმდეგო სანქციების პროგრამის შემთხვევაში, თითქმის სრულად, ბლოკის დონეზე წყდება. გარკვეული განმარტებები წარმოდგენილი იყოს 2024 წლის ივნისში გამოცემულ ევროკავშირის სანქციათა მე-14 პაკეტში, რომლითაც პორტში შესვლის და მომსახურების მიღების აკრძალვა დაუწესდათ G7+ ნავთობის ზღვრული ფასის გვერდის ავლასთან კავშირის მქონე გემებს. ასევე, ახალი აკრძალვები დაუწესდათ რუსეთის მოქალაქეებს, რომლებიც თანამდებობებს იკავებენ კრიპტო აქტივების და სამეურვეო სერვისების ზედამხედველობის ორგანოებში.[49] პირველი აკრძალვა ნათლად გვიჩვენებს ბლოკის სურვილს, რომ კონკრეტული ნაბიჯები გადადგას ტრანზაქციების მიმართულებით, რომელსაც ევროკავშირთან პირდაპირი კავშირი არ აქვს, ხოლო მეორე აკრძალვა ხაზს უსვამს მზარდ აქცენტებს კრიპტოვალუტაში განხორციელებულ ტრანზაქციებსა და მათ როლზე სანქციების სფეროში. ეს განსაკუთრებით საყურადღებო სფეროა მეორადი სანქციების შემუშავებისთვის, რამდენადაც კრიტპო-პროვაიდერები ხშირად ოფშორულ იურისდიქციებში არიან დაფუძნებული, მაგრამ ტრადიციული სავალუტო ბაზრებიც კვლავ ყურადღების ცენტრში იქნება. 2024 წლის ივნისში, როგორც შეერთებულმა შტატებმა, ისე დიდმა ბრიტანეთმა, სანქციები დაუწესა მოსკოვის ბირჟას, რომელიც რუსეთის შიგნით ძირითად შიდა ბაზრად იქცა უცხოური ვალუტის რუსულ რუბლზე გადაცვლისთვის.[50] თუ ევროკავშირი მალე დათანხმდება სანქციების გვერდის ავლის საწინა-აღმდეგო ზომების გაფართოებას და პირდაპირ დაიწყებს ორგანიზაციების, ფიზიკური და იურიდიული პირების სანქცირებულთა სიაში შეყვანას ევროკავშირის სანქციათა მე-12 სანქციების პაკეტში დადგენილ დარღვევებში მონაწილეობის გამო, ეს მნიშვნელოვანი ახალი წინგადადგმული ნაბიჯი იქნება. ეს საკითხი კვლავ სადავოა ევროპაში, ნაწილობრივ იმის გამო,

რომ თავად ბლოკი იმედგაცრუებულია შეერთებული შტატების მიერ ირანის წინააღმდეგ სანქციების ცალმხრივი ხელახალი დაწესებით, მიუხედავად იმისა, რომ თეირანი ასრულებდა 2015 წლის „ერთობლივ ყოვლისმომცველ სამოქმედო გეგმას (JCPOA)“, რომელსაც უფრო ხშირად „ირანის წინააღმდეგ დაწესებული სანქციების შეთანხმება“ ეწოდება და რომელშიც ევროკავშირის წევრები მონაწილეობდნენ. შეერთებული შტატების მიერ ირანთან დაკავშირებული სანქციების ამ ექსტრატერიტორიულმა ასპექტებმა ევროპული კომპანიები აიძულა, რომ არსებული გარიგებები გაეუქმებინათ ქვეყანაში, მიუხედავად იმისა, რომ ბლოკი პაქტის დაშლას ეწინააღმდეგებოდა. შესაბამისად, ევროპა მის მიერ გატარებულ ზომებს მეორად სანქციებს არ უწოდებს, მაგრამ ვლადიმერ პუტინის შეჭრამ უკრაინაში განაპირობა უპრეცედენტო მასშტაბის საერთაშორისო თანამშრომლობა სანქციების საკითხში და ბრიუსელის ზომებს, მიუხედავად იმისა, რომ მას სხვაგვარად უწოდებენ, შეიძლება საბოლოოდ იგივე მასშტაბი ჰქონდეს.

მეორე ტენდენცია – შეტყობინების მოთხოვნის გაძლიერება

ევროკავშირის სანქციების მე-14 პაკეტში და აშშ-ს გაფართოებულ მეორად სანქციებში, რომლებიც 2023 წლის დეკემბერსა და 2024 წლის ივნისში გამოიცა, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, საუბარია G7+ ნავთობის ზღვრულ ფასზე და მისი აღსრულებისას სანქციების გვერდის ავლის საწინააღმდეგო ზომების მნიშვნელობაზე. ერთი სავარაუდო დამატებითი ტენდენცია, რომელიც გამოიკვეთა არის აღნიშნულ ტრანზაქციებთან დაკავშირებული შეტყობინების და აღსრულების მოთხოვნების გავრცელება მესამე მხარეებზეც კი. ამ ორი ტენდენციის გაერთიანება იმის მაჩვენებელია, რომ მათ, ვინც არსებულ და გაფართოებულ მოთხოვნებს თავს არიდებს, მეორადი სანქციების რისკი ექმნებათ.

ყველაფერ ამას მივყავართ სანქციების შემუშავების მეორე ძირითად ტენდენციამდე, რაც შეტყობინების მოთხოვნის გაძლიერებას გულისხმობს და საერთო ჯამში ნიშნავს სტანდარტის ამაღლებას სავაჭრო საქმიანობაში ჩართული სუბიექტებისთვის, რომლებმაც უნდა აჩვენონ, რომ ესწრაფვიან სანქციებთან შესაბამისობას. სულ უფრო ცხადი ხდება, რომ მისაღები აღარ არის დაგვიანებული ახსნა-განმარტება ან დამატებითი ხარჯების გაწევა - სანქციების დარღვევამ, უარეს შემთხვევაში, შეიძლება გამოიწვიოს ბიზნესის კოლაფსი, მაგრამ ნაკლებად მნიშვნელოვან მოვლენებსაც კი, როგორიც არის, მაგალითად, უარყოფითად გაშუქება მედიაში, შესაძლოა მნიშვნელოვანი ხარჯები ახლდეს. პრეზიდენტ ჯო ბაიდენის მიერ გამოცემულ შეერთებული შტატების 2023 წლის დეკემბრის აღმასრულებელ განკარგულებაში გარკვევით არის აღნიშნული, რომ სანქციები შეიძლება დაუწესდეს უცხოურ ფინანსურ ინსტიტუციებს, რომლებიც „გაუცნობიერებლად“ ჩაერთვებიან სანქციებთან დაკავშირებულ საქმიანობაში.[51] FinCEN და აშშ მთავრობის სხვა რესურსებში, რა თქმა უნდა, არაერთი მითითებაა მოცემული სანქციებთან შესაბამისობის საუკეთესო პრაქტიკის შესახებ, მაგრამ ეს იმის მანიშნებელია, რომ როდესაც შემოწმება დაიწყება, მტკიცებულების ტვირთი სულ უფრო მეტად გადაინაცვლებს მარწმუ-ნებელზე, რომელმაც მაქსიმალური ძალისხმევა უნდა გასწიოს სანქციებთან შესაბამისობისთვის.

მესამე ტენდენცია - გამიზვნის და გაფრთხილების ახალი ინსტრუმენტები

სანქციების გვერდის ავლის საწინააღმდეგო ზომების/მეორადი სანქციების ამგვარი ზრდა და სანქციებთან შესაბამისობის მოთხოვნების გაძლიერება ის ტენდენციებია, რომელიც ყველაზე ეფექტური იქნება თუ ფართო საერთაშორისო მხარდაჭერას მოიპოვებს, განსაკუთრებით მესამე ქვეყნებში. რუსული კომპანიები და ორგანიზაციები დიდი ხანია „საგადასახადო თავშესაფრებს“ ანიჭებენ უპირატესობას, არამხოლოდ გადასახადების ოპტიმიზაციის მიზეზით, არამედ მათთვის დამახასიათებელი შესაბამისობის დაბალი სტანდარტის და ინფორმაციის დაფარვის მიდრეკილების გამო.[52] მესამე ქვეყნებში სანქციების დამწესებელი ორგანოები, რა თქმა უნდა, არ ერიდებიან სანქციების დაწესებას ამგვარ იურისდიქციებში არსებული სუბიექტების წინააღმდეგ, მაგრამ ამ ქვეყნებში არსებული გარემო ბიზნესის წარმოებისთვის შედარებით მაღალი რისკის შემცველია. გადასახადებისგან თავის არიდებასთან ბრძოლისთვის გაწეული საერთაშორისო ძალისხმევა მრავალი წლის განმავლობაში გეოპოლიტიკური გარემოს მთავარი მახასიათებელია. კამპანიის ყველაზე დიდი წარმატება იყო 2021 წელს გამოცხადებული შეთანხმება 15 პროცენტიანი საერთაშორისო მინიმალური საშემოსავლო გადასახადის შესახებ, რომელსაც, 2024 წლის მდგომარეობით, 140-ზე მეტი ქვეყანა აწერს ხელს.[53] ეს მრავალი წლის მუშაობის შედეგია, მათ შორის არაერთი საერთაშორისო ორგანიზაციის, განსაკუთრებით კი 40 ქვეყნის „ფინანსურ ქმედებათა სპეციალური ჯგუფის (FATF)“. ეს არის ჯგუფი, რომელიც აქვეყნებს „შავი“ და „რუხი“ რისკების ჩამონათვალს იმ იურისდიქციებთან დაკავშირებით, რომელსაც „ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების წინაღმდეგ“ (AML/CTF) სუსტი სტანდარტები აქვთ. ეს გამოცდილება, დიდი ალბათობით, გამოყენებული იქნება სანქციებისთვისაც. მოსალოდნელია, რომ მომდევნო წლებში AML/CTF აკრონიმი გაფართოვდება და გავრცელდება სანქციების თვალსაზრისით მაღალი რისკის შემცველ იურისდიქციებზე.

თუმცა, თავად სანქციების დამწესებელი ორგანოები მხოლოდ იმის იმედად ვერ იქნებიან, რომ მაღალი რისკის შემცველ იურისდიქციებში სტანდარტებთან შესაბამისობა ზეწოლის გამო გაუმჯობესდება. ეს ორგანოები მუშაობენ გამიზვნის ინსტრუმენტებზე, რომელიც იძლევა გაფრთხილებას, რომ კონკრეტული გარემო სანქციების მაღალი რისკის ქვეშ არის და არსებული ინფორმაციით, სანქციების გვერდის ავლაში მონაწილეობს. ყველაზე მკაფიო მაგალითი იყო შეერთებული შტატების მრეწველობისა და უსაფრთხოების ბიუროს 2024 წლის ივნისის განცხადება, რომ ის აახლებდა იურიდიული პირების სიას, სადაც შეიყვანდა ჰონგ კონგში არსებული რვა მისამართს, რომელიც უკვე მრავალჯერ გამოიყენეს კომპანიებმა, რუსეთისთვის დაწესებული სანქციების თავის არიდების მიზნით. ეს იმას ნიშნავს, რომ ნებისმიერ ტრანზაქციას, სადაც აღნიშნული მისამართები იქნება მითითებული, ექსპორტისთვის სააგენტოსგან აღებული მკაფიო ნებართვა მოეთხოვება.[54] სანქცირებულთა სიაში შეყვანის მსგავსი პრაქტიკა, სავარაუდოდ, გამოყენებული იქნება არა მხოლოდ ასეთ ტრანზაქციებში გამოყენებული ცნობილი მისამართების იდენტიფიცირებისთვის, არამედ ზოგადად იურისდიქციებისთვის, სადაც, როგორც ცნობილია, არსებობს ტრასტების საშუალებით კომპანიის დაარსების ნაკლებად კონტროლირებული სერვისები, რომელიც რუსეთისთვის დაწესებული სანქციების გვერდის ავლისთვის გამოიყენება.

მეოთხე ტენდენცია – პროგრამული უზრუნველყოფის შეყვანა სანქციების სიაში

პროგრამული უზრუნველყოფის გეოპოლიტიკა და სახელმწიფოს ან თუნდაც კერძო სუბიექტების მიერ ასეთი ტექნოლოგიის ბოროტად გამოყენების პოტენციალი ბოლო წლებში სულ უფრო მეტად ექცევა სანქციების დამწესებელი ორგანოების და სახელმწიფო სტრუქტურების წარმომადგენელთა ყურადღების ცენტრში. TikTok-ის შემთხვევამ და მისი ჩინური მშობელი

კომპანიის ByteDance-ს მფლობალებაში ყოფნამ ალბათ ყველაზე მეტი ყურადღება მიიპყრო და 2024 წლის აპრილში, აშშ-ის კონგრესის მიერ მიღებულმა და პრეზიდენტ ჯო ბაიდენის მიერ ხელმოწერილმა კანონმა შექმნა სამართლებრივი საფუძველი კომპანიის გაყიდვის იძულებისთვის. ამკრძალავი სანქციების, სექტორული სანქციების ან ექსპორტზე დაწესებული სანქციებისგან განსხვავებით, ეს ტრადიციული სანქცია არ არის, მაგრამ ფაქტობრივად, ამ მიმართულებით გადადგმული კიდევ ერთი ნაბიჯია. ეს შემთხვევა ასევე სრულად შეესაბამება ჩინეთის მიერ დამკვიდრებულ პრეცედენტს, რომელიც დიდი ხანია უცხოური სოციალური მედიის უმსხვილეს ოპერატორებს ქვეყანაში შესვლას უკრძალავს. თუმცა, ღრუბელზე დაფუძნებული პროგრამული უზრუნველყოფის და მონაცემთა მართვის ინსტრუმენტების მნიშვნელობა, როგორც ჩანს, მუდმივად იზრდება, რაც იმას ნიშნავს, რომ ტრადიციული სანქციების ინსტრუმენტების ადაპტირებაც ხდება, რუსეთის ომის მანქანის შეზღუდვის მიზნით.

ზემოაღნიშნულის ყველაზე თვალსაჩინო მაგალითი იყო 2024 წლის ივნისის შემთხვევა, როდესაც მრეწველობისა და უსაფრთხოების ბიურომ (BIS) გამოაცხადა „ექსპორტის მართვის რეგულაციით 99 (EAR99)“[55] გათვალისწინებულ პროგრამულ უზრუნველყოფაზე შეზღუდვის დაწესება. EAR99 პროდუქცია, როგორც წესი „სპეციალურად ექსპორტისთვის არ კონტროლდება ... ჩვეულებრივ, მისი ექსპორტი ლიცენზიის გარეშე ხორციელდება“, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ექსპორტირება ემბარგოდადებულ ან სანქცირებულ ქვეყანაში ხდება, აკრძალული საბოლოო მოხმარებისთვის ან საბოლოო მომხმარებელთან, რომელსაც აკრძალვა აქვს დაწესებული... ასეთ შემთხვევაში (ექსპორტიორებს) შეიძლება ლიცენზიის აღება მოსთხოვონ ”.[56] მრეწველობისა და უსაფრთხოების ბიუროს (BIS) ამ ნაბიჯს მოჰყვა OFAC-ს მიერ სანქციების ახალი განმარტება, რომელიც კრძალავს რუსეთის მოქალაქეებისთვის გარკვეული საინფორმაციო ტექნოლოგიის პროგრამული უზრუნველყოფის მიწოდებას.[57] აღნიშნული ზომების ამოქმედება ნიშნავს, რომ პროგრამულ უზრუნველყოფათა მნიშვნელოვანი ნაწილის ექსპორტი რუსეთში ან რუსეთის მოქალაქეებისა თუ რუსეთში არსებული კომპანიების სასარგებლოდ, აკრძალულია, თუნდაც პროგრამულ უზრუნველყოფას აშკარა სამხედრო დანიშნულება არ ჰქონდეს. მართალია, ეს ზომები ცალსახად არ შეიცავს მეორადი სანქციის საფრთხეებს ზემოაღნიშნული ზოგიერთი სანქციისგან განსხვავებით, რომლებიც საფრთხეს უქმნიან უცხოურ ფინანსურ ინსტიტუტებს, ამერიკის SDN სიაში შეყვანილ რუსეთის მოქალაქეებთან ან რუსულ კომპანიებთან მიმართებით, მაგრამ ისინიც ითვალისწინებენ რუსეთის მოქალაქეების ან ასეთი ფიზიკური პირების საზღვარგარეთ არსებული რუსული კომპანიების, მათი შვილობილი კომპანიების/აქტივების გამორიცხვას. შეზღუდვა არ ეხება მხოლოდ ისეთ შემთხვევებს, როდესაც ამ კომპანიებს ან შვილობილ კომპანიებს/აქტივებს ფიზიკური ან იურიდიული პირები რუსეთში ოპერირებისთვის იყენებენ. რუსეთის მოქალაქის ან რუსული ორგანიზაციის სასარგებლოდ ამგვარი მომსახურების მესამე ქვეყანაში მართვის შეთავაზება სანქციების დარღვევის რისკს ქმნის. იმ შემთხვევაში, თუ ეს გამიჯვნა მკაფიო არ იქნება, მესამე ქვეყნებში არსებული სუბიექტებისთვის, რომლებიც რუსულ კომპანიებთან ან რუსეთის მოქალაქეებთან თანამშრომლობენ, სავალდებულო იქნება განმარტების მიღება OFAC-სგან და/ან ლიცენზიების მიღება BIS-სგან.

დამატებითი ტენდენციები

წინამდებარე ნაშრომში, უპირველეს ყოვლისა, ყურადღება გამახვილებულია რუსეთის წინააღმდეგ დაწესებულ სანქციათა პროგრამის სტრუქტურის ახსნაზე, საკითხთან დაკავშირებულ სიტუაციურ ანალიზზე და ამ მიმართულებით არსებულ ტენდენციებზე, თუმცა

ძირითადად, საუბარია სანქციათა უფრო ფართო პროგრამებზე, განსაკუთრებით, ზემოთ დაწვრილებით აღწერილი სამი ტენდენციის შემთხვევაში. უნდა გავითვალისწინოთ, რომ მსოფლიო ამჟამად მზარდი გეოპოლიტიკური კონკურენციის ეპოქაშია და ახალი ტენდენციები არა მხოლოდ რუსეთთან მიმართებაში ვითარდება. არაერთი ტენდენცია ჩნდება კონფლიქტის სხვა სფეროებშიც, რაც რისკის ამ სფეროს გააზრების თვალსაზრისით, ძალიან მნიშვნელოვანია პრაქტიკოსი სპეციალისტების, ანალიტიკოსების, სანქციებთან შესაბამისობის სპეციალისტებისა და ხელმძღვანელი პირებისთვის. შეუძლებელია ყველა ტენდენცია ამომწურავად განვიხილოთ, მაგრამ ნაშრომის მიზნებიდან გამომდინარე, მიზანშეწონილი იქნება, დასასრულს, ზოგიერთ მათგანზე თუ ვისაუბრებთ.

ტენდენციებს შორის უახლოესია რუსეთსა და დასავლეთს შორის სავაჭრო ომის შედეგად წარმოშობილი ტენდენციები, განსაკუთრებით შეერთებული შტატების მიერ შემოღებული ზომები. ბოლო ათწლეულის განმავლობაში, ვაშინგტონმა პირველმა გადადგა რამდენიმე მკვეთრი ნაბიჯი, როგორიც არის ამერიკულ ბაზრებზე ჩინეთის სატელეკომუნიკაციო კომპანიების, მაგალითად, Huawei-სა და ZTE- ს აკრძალვა, მაგრამ ეს შეზღუდვები სულ უფრო ვრცელდება სხვა ქვეყნებშიც. ტენდენცია მზარდია არა მხოლოდ ჩინური ტექნოლოგიის აკრძალვის თვალსაზრისით, არამედ პეკინში ტექნოლოგიის ექსპორტის აკრძალვასაც მოიცავს და სულ უფრო ფართოვდება, რასაც მოწმობს აშშ-ში კანონის მიღება, უკრაინის, ისრაელისა და ტაივანისთვის დახმარების ძირითადი პაკეტის ნაწილის სახით. აღნიშნული კანონი მოითხოვს ჩინური სოციალური მედიის აპლიკაციის- TikTok-ის გამოყენებაზე უარის თქმას. ამ ყველაფერში მთავარი ფაქტორი ეკონომიკური კონკურენციაა და არა აღნიშნული პროდუქციის სხვა ქვეყნაში შეჭრისა და სისასტიკისთვის გამოყენების შეზღუდვა, როგორც ეს რუსეთის შემთხვევაში ხდება. მოვლენები სწრაფი ტემპით ვითარდება და საუბარია აპარატული უზრუნველყოფის, ასევე გარკვეული პროგრამული უზრუნველყოფის ექსპორტის ან ჩინურ სისტემებში ინსტალაციის აკრძალვაზე. თუმცა, ამ ყველაფრის მთავარი გამომწვევი ფაქტორია მონაცემთა დაცვა და ეს აჩვენებს, რომ არსებობს სანქციების ან სანქციების მსგავსი ინსტრუმენტების გამოყენების გაფართოების ტენდენცია, რომელიც აღნიშნულ მოსაზრებებსაც მოიცავს.

მეორე საკითხი, რომელიც უნდა გავითვალისწინოთ, არის ის, რომ მაღალგანვითარებული ტექნოლოგია არასოდეს ყოფილა იაფი - უპილოტო საფრენი აპარატები, რომლის ღირებულება 100 დოლარზე ნაკლებია, ადაპტირებულია და რუსეთ-უკრაინის ომში საბრძოლო იარაღად გამოიყენება. ადაპტირებული რეაქტიული თხილამურები სამხედრო-საზღვაო უპილოტო საფრენ აპარატებად გადაკეთდა იემენის სანაპიროზე გემებზე იერიშის მისატანად. მავნე აქტორები ამ მოვლენებსაც დიდ ყურადღებას აქცევენ. სანქციების ყველაზე მნიშვნელოვანი დარღვევა - ყოველ შემთხვევაში, ჯარიმების მოცულობის მიხედვით - ისტორიულად ყოველთვის მსხვილ ფინანსურ ინსტიტუტებთან იყო დაკავშირებული. მაგრამ ექსპორტის კონტროლის ზრდა, დიდი ალბათობით, გავლენას მოახდენს არა მხოლოდ რუსეთზე ან გეო-ეკონომიკური დაძაბულობის ძირითად ზონებზე, როგორიც, მაგალითად, სავაჭრო ომია, არამედ მისი მოქმედების სფერო გაფართოვდება, რათა ტერორისტულ ჯგუფებსა და სხვებს ექსპორტის განვითარების შესაძლებლობა არ მისცეს, თუნდაც საუბარი იყოს ისეთ პროდუქციაზე, რომელსაც უმეტეს შემთხვევაში, დაბალი ღირებულება აქვს ბაზარზე.

და ბოლოს, უნდა აღინიშნოს, რომ რუსეთი კვლავ უაღრესად მტრულ მოთამაშედ რჩება, არა მხოლოდ ვლადიმერ პუტინის ტერიტორიული ამბიციების, არამედ ეკონომიკურ ომის წარმოების სურვილის გამო. მოცემულ ნაშრომში რამდენჯერმე იყო ხაზგასმული, რომ ჯერჯერობით

საერთაშორისო თანამშრომლობა რუსეთის წინააღმდეგ დაწესებული სანქციათა პროგრამის მთავარი გასაღებია და მისი მნიშვნელობა კიდევ უფრო გაიზრდება. დღესდღეობით, ეს თანამშრომლობა არა უბრალოდ სოლიდარობას გულისხმობს, არამედ დახმარების გაწევას იმ ქვეყნებისთვის, რომლებიც რუსული სამხედრო და საბაზრო აგრესიის შედეგად დაზარალდნენ. რაც უფრო მეტი გაკეთდება დღეს ერთობლივი მუშაობისა და პუტინისგან მომდინარე საფრთხის შემცირებისთვის, მით უფრო ნაკლებად იქნება ხვალ ნგრევა მოსალოდნელი და მით უკეთესად მოემზადება საერთაშორისო საზოგადოება იმისთვის, რომ ყველა წევრმა, ვინც დღეს მხარს უჭერს საერთაშორისო წესრიგს, შესაბამისი სარგებელი მიიღოს მისგან.

გამოყენებული წყაროები

1 Wadhams, Nick. 'Russia is Now the World's Most Sanctioned Nation', Bloomberg, 7 March 2022. https://www.bloomberg.com/news/articles/2022-03-07/russia-surges-past-iran-to-become-world-s-most-sanctioned-nation

2 Hess, Maximilian. Economic War: Ukraine and the Global Conflict Between Russia and the West, London: Hurst Publishers, August 2023. pp. 143-144.

3 Drezner, Daniel. The Sanctions Paradox: Economic Statecraft and International Relations. New York, NY: Cambridge University Press, 2000.

4 Mulder, Nicholas. Economic Weapon: The Rise of Sanctions as a Tool of Modern War. New Haven: Yale University Press, 2022. & Blackwill, Robert, and Jennifer Harris. War by Other Means: Geoeconomics and Statecraft. Cambridge: The Belknap Press of Harvard University Press, 2017.

5 Boocker, Sam; Conner, Alexander, and Wessel, David. 'Why do the US and its allies want to seize Russian reserves to aid Ukraine?', The Brookings Institute, 17 June 2024. https://www.brookings.edu/articles/why-do-the-u-s-and-its-allies-want-to-seize- russian-reserves-to-aid-ukraine/

6 Reuters. 'Gas Crises Between Ukraine and Russia', Reuters, 12 January 2009. https://www.reuters.com/article/us-russia-ukraine-gas-timeline-sb/timeline-gas-crises-between-russia-and-ukraine-idUSTRE50A1A720090111/ & Olearchyk, Roman. 'Russia accused of triggering trade war with Ukraine', Financial Times, 15 August 2013. https://www.ft.com/content/99068c0e-0595-11e3-8ed5-00144feab7de

7 U.S. Department of the Treasury. 'Treasury Targets Networks Linked to Iran', U.S. Department of the Treasury, 06 February 2014. https://home.treasury.gov/news/press-releases/jl2287

8 Guo, Jiazhen; Cinelli, Giovanna M.; and Valentstein, Carl A. 'US Sanctions on Russia Have Extraterritorial Implications', Morgan Lewis, 03 March 2022. https://www.morganlewis.com/pubs/2022/03/update-us-sanctions-on-russia-have-extraterritorial-implications

9 Office of Financial Sanctions Implementation Blog, 'Trust Services Sanctions update', Office of Financial Sanctions Implementation, 21 March 2023. https://ofsi.blog.gov.uk/2023/03/21/trust-services-sanctions-update/

10 Office of Financial Sanctions Implementation, 'UK Financial Sanctions FAQs - Question 4', Office of Financial Sanctions Implementation, 19 July 2024. https://www.gov.uk/government/publications/uk-financial-sanctions-faqs/uk-financial-sanctions-faqs

11 Official Journal of the European Union. 'Directive (EU) 2024/1226 of the European Parliament and of the Council of 24 April 2024 on the definition of criminal offences and penalties for the violation of Union restrictive measures and amending Directive (EU) 2018/1673' Official Journal of the European Union, 29 April 2024, https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=OJ:L_202401226

12 Office of Foreign Assets Control. 'Global Magnitsky Sanctions - Legal Framework', Office of Foreign Assets Control, 11 June 2024. https://ofac.treasury.gov/sanctions-programs-and-country-information/global-magnitsky-sanctions

13 Sun, Mengqi, 'State Street to Pay $7.5 Million to Settle Allegations of Russia-Related Sanctions Violations', Wall Street Journal, 26 July 2024. https://www.wsj.com/articles/state-street-to-pay-7-5-million-to-settle-allegations-of-russia-related-sanctions-violations-23167290

14 Official Journal of the European Union. 'Council Regulation (EU) 2022/328 of 25 February 2022 amending Regulation (EU) No 833/2014 concerning restrictive measures in view of Russia's actions destabilising the situation in Ukraine,' Official Journal of the European Union, 25 February 2022. https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:32022R0328

15 Byrne, James; Somerville, Gary; Byrne, Joe; Watling, Jack; Reynolds, Nick; and Baker, Joe. "Silicon Lifeline". Royal United Services Institute, 08 August 2022.https://static.rusi.org/RUSI-Silicon-Lifeline-final-web.pdf

16 Op. Cit. Hess, Economic War. pp. 188-202.

17 U.S. Bureau of Industry and Security. 'Exporting Commercial Goods - Guidance for Industry and Academia,' U.S. Bureau of Industry and Security, 26 September 2023. https://www.bis.doc.gov/index.php/documents/enforcement/3336-2023-09-26-export-enforcement-five-guidance-for-industry-and-academia-priority-hs-codes/file

18 U.S Bureau of Industry and Security. 'Dual Use Export Licenses,' U.S Bureau of Industry and Security,1 7 June 2024. https://www.bis.doc.gov/index.php/all-articles/2-uncategorized/91-dual-use-export-licenses

19 Johnson, Simon; Rachel, Lukasz; and Wolfram, Catherine. 'The design and implementation of the price cap on Russian oil', Centre for Economic Policy Research, 19 August 2023. https://cepr.org/voxeu/columns/design-and-implementation-price-cap-russian-oil

20 EU Directorate-General for Financial Stability, Financial Services and Capital Markets Union. 'Russia sanctions: G7+ Price Cap Coalition members announce revisions to the price cap compliance regime', EU Directorate-General for Financial Stability, Financial Services and Capital Markets Union, 20 December 2023. https://finance.ec.europa.eu/news/russia-sanctions-g7-price-cap-coalition-members-announce-revisions-price-cap-compliance-regime-2023-12-20_en

[21] His Majesty's Treasury. UK and U.S. to clamp down harder on the trade of Russian metals, His Majesty's Treasury, 12 April 2024. https://www.gov.uk/government/news/uk-and-us-to-clamp-down-harder-on-the-trade-of-russian-metals

[22] Grigorenko, Yuriy. 'European sanctions against steel exports from Russia: status and prospects,' GMK Center, 3 April 2024. https://gmk.center/en/posts/european-sanctions-against-steel-exports-from-russia-status-and-prospects/

[23] Eurostat. 'Reduced levels of EU-Russia trade continue', Eurostat, 22 February 2024. https://ec.europa.eu/eurostat/web/products-eurostat-news/w/ddn-20240222-2

[24] NB: Bulgaria's exemption came to an end in 2024

[25] Lee, Julian. 'Hungary, Slovakia Can Deal With Lukoil Sanctions: Oil Strategy, Bloomberg, 24 July 2024. https://www.bloomberg.com/news/articles/2024-07-24/hungary-slovakia-can-deal-with-lukoil-sanctions-oil-strategy?sref=B0Y81EZP

[26] U.S. Department of State. 'Prohibiting Imports of Uranium Products from the Russian Federation', U.S. Department of State, 14 May 2024. https://www.state.gov/prohibiting-imports-of-uranium-products-from-the-russian-federation/

[27] U.S. Treasury Office of Foreign Asset Controls. 'FAQ 1054. Do the new investment prohibitions of Executive Order (E.O.) 14066, E.O. 14068, or E.O. 14071 (collectively, "the respective E.O.s") prohibit U.S. persons from purchasing debt or equity securities issued by an entity in the Russian Federation'?, U.S. Treasury Office of Foreign Asset Controls, 22 June 2022. https://ofac.treasury.gov/faqs/

[28] Bonifassi, Stephane and Bastien, Julie. ‚EU Sanctions Enforcement', Global Investigations Review, 29 September 2023. https://globalinvestigationsreview.com/guide/the-guide-sanctions/fourth-edition/article/eu-sanctions-enforcement

[29] Woody, Christopher. 'Russian weapons are creating a headache for the US as it looks for partners to counter China', Business Insider, 11 May 2021. https://www.businessinsider.com/india-s400-purchase-risks-us-sanctions-amid-competition-with-china-2021-5

[30] Loonam, James P. and Andreoli, Ryan J. 'Extraterritoriality: the US Perspective'. Global Investigations Review, 04 January 2023. https://globalinvestigationsreview.com/guide/the-practitioners-guide-global-investigations/2023/article/extraterritoriality-the-us-perspective

[31] Hood, Andrew; Tauwahare and Richard; Regiec, Agnieszka Paulina. 'UK, EU and US Sanctoins on Russia'. Fieldfisher, 24 July 2024. https://www.fieldfisher.com/en/services/international-trade/trade-sanctions-blog/uk-eu-and-us-sanctions-on-russia & Gonzalez, Roberto J. and Thompson, Joshua R. 'ICLG - Sanctions – USA,' International Comparative Legal Guides, 27 September 2023. https://iclg.com/practice-areas/sanctions/usa

[32] Fayhee, Ryan P.; Schlossberg, Andrew R.; and Boyle, Griffin. 'New Executive Order Authorizes the Imposition of Secondary Sanctions on Foreign Financial Institutions Facilitating Russia's Military-Industrial Base and Expands Import Prohibitions on Certain Russian-Origin Products', Akin, 17 January 2024. https://www.akingump.com/en/insights/alerts/new-executive-order-authorizes-the-imposition-of-secondary-sanctions-on-foreign-financial-institutions

[33] Fernandez, Andres; Caballer Jr., Gabriel; and Marco, Jacob. 'OFAC Expands Secondary Sanctions Targeting FFIs Transacting with Sanctioned Russian Persons', Holland & Knight, 24 June 2024. https://www.hklaw.com/en/insights/publications/2024/06/ofac-expands-secondary-sanctions-targeting-ffis-transacting

[34] Yermakov, Vitaly.'Follow the Money: Understanding Russia's oil and gas revenues', Oxford Institute for Energy Studies, 17 March 2024, pp.2. https://www.oxfordenergy.org/wpcms/wp-content/uploads/2024/03/Follow-the-Money-Russian-Oil.pdf

[35] U.S. Department of the Treasury. 'Treasury Tightens the Price Cap with New Sanctions and Updated Guidance', U.S. Department of the Treasury, 20 December 2023. https://home.treasury.gov/news/press-releases/jy2008

[36] Bloomberg. 'New Kings of Russian Oil Were These Six Traders in December', Bloomberg, 21 March 2023. https://www.bloomberg.com/news/articles/2023-03-21/new-kings-of-russian-oil-were-these-six-traders-in-december?sref=B0Y81EZP & Zhdannikov, Dmitry and Verma, Nidhi. 'Obscure traders ship half Russia's oil exports to India, China after sanctions', Reuters, 27 July 2023. https://www.reuters.com/business/energy/obscure-traders-ship-half-russias-oil-exports-india-china-after-sanctions-2023-07-27/

[37] Prokopenko, Alexandra. 'Russia's Capital Controls Are Designed to Aid Putin's 2024 Re-Election', Carnegie Russia Eurasia Center, 19 October 2023. https://carnegieendowment.org/russia-eurasia/politika/2023/10/russias-capital-controls-are-designed-to-aid-putins-2024-re-election

[38] See, for example, the 4.5% commission advertised by Russian Turkish firm Sky 17 on its website as of 30 July 2024 https://www.sky17-tr.com (archived at: https://web.archive.org/web/20240502054025/https://www.sky17-tr.com/)

[39] Associated Press, 'EU sends first $1.6 billion from frozen Russia assets to Ukraine', Associated Press, 26 July 2024 https://apnews.com/article/eu-russia-frozen-assets-ukraine-fund-b743697199adccd5187b4b59159b3a54

[40] Reuters. 'What is the G7's $50 billion loan plan for Ukraine?', Reuters, 14 June 2024. https://www.reuters.com/world/europe/what-is-g7s-50-billion-loan-plan-ukraine-2024-06-14 /

[41] U.S. Department of Justice. 'Five Russian Nationals and Two Oil Traders Charged in Global Sanctions Evasion and Money Laundering Scheme', U.S. Department of Justice, 19 October 2022. https://www.justice.gov/usao-edny/pr/five-russian-nationals-and-two-oil-traders-charged-global-sanctions-evasion-and-money

[42] U.S. Department of State. 'Artem Aleksandrovich Uss - Transnational Organised Crime Rewards Program', U.S. Department of State, 5 December 2023. https://www.state.gov/artem-aleksandrovich-uss

[43] Op. Cit. Hess, Economic War, pp. 168.

[44] U.S. Department of Justice. 'Bosnia and Herzegovina National Indicted for Aiding in Escape of Russian Defendant', U.S. Department of Justice, 05 December 2023. https://www.justice.gov/usao-edny/pr/bosnia-and-herzegovina-national-indicted-aiding-escape-russian-defendantIn

[45] Swiss Info. 'Italy arrests businessman over escape of Russian', Swiss Info, 14 June 2024. https://www.swissinfo.ch/eng/italy-arrests-businessman-over-escape-of-russian-man-from-house-arrest/80675311

[46] Op. Cit. U.S. Department of State. 'Artem Aleksandrovich Uss - Transnational Organised Crime Rewards Program'.

[47] Op. Cit. U.S. Department of Justice. 'Five Russian Nationals and Two Oil Traders Charged in Global Sanctions Evasion and Money Laundering Scheme'.

[48] Official Journal of the European Union. 'Council Regulation (EU) 2023/1214 of 23 June 2023 amending Regulation (EU) No 833/2014 concerning restrictive measures in view of Russia's actions destabilising the situation in Ukraine'. Official Journal of the European Union, 23 June 2023. https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=uriserv%3AOJ.LI.2023.159.01.0001.01.ENG&toc=OJ%3AL%3A2023%3A159I%3ATOC

[49] European Union.'EU adopts 14th package of sanctions against Russia for its continued illegal war against Ukraine, strengthening enforcement and anti-circumvention measures', European Union, 24 June 2024. https://ec.europa.eu/commission/presscorner/detail/en/ip_24_3423

[50] Agence France Presse. 'U.K. Follows U.S. With Sanctions on Moscow Stock Exchange, Agence France Presse, 14 July 2024. https://www.themoscowtimes.com/2024/06/13/uk-follows-us-with-sanctions-on-moscow-stock-exchange-a85399

[51] Op. Cit Fayhee, Schlossberg, and Boyle. 'New Executive Order Authorizes the Imposition of Secondary Sanctions on Foreign Financial Institutions Facilitating Russia's Military-Industrial Base and Expands Import Prohibitions on Certain Russian-Origin Products'

[52] David Parsley, 'Russia sanctions: How much money do oligarchs have in British tax havens and where exactly is it?', iNews, 15 February 2022. https://inews.co.uk/news/politics/russian-sanctions-uk-where-oligarchs-hide-cash-british-tax-havens-1462085

[53] Torkington, Simon. What does the OECD global minimum tax mean for global cooperation?, World Economic Forum Blog, 02 February 2024. https://www.weforum.org/agenda/2024/02/oecd-minimum-tax-rate

[54] U.S. Bureau of Industry and Security. 'Department of Commerce Announces Additional Export Restrictions to Counter Russian Aggression', U.S. Bureau of Industry and Security, 12 June 2024. https://www.bis.gov/press-release/department-commerce-announces-additional-export-restrictions-counter-russian

[55] Federal Register. 'Implementation of Additional Sanctions Against Russia and Belarus Under the Export Administration Regulations (EAR) and Refinements to Existing Controls', Federal Register, 18 June 2024. https://www.federalregister.gov/documents/2024/06/18/2024-13148/implementation-of-additional-sanctions-against-russia-and-belarus-under-the-export-administration

[56] International Trade Administration. 'Export Control Classification # (ECCN) and Export Administration Regulation (EAR99)', International Trade Administration, Retrieved 14 August 2024 https://www.trade.gov/eccn-and-export-administration-regulation-ear99

[57] Office of Foreign Assets Control.' Determination Pursuant to Section 1(a)(ii) of Executive Order 14071', Office of Foreign Assets Control, 12 June 2024. https://ofac.treasury.gov/media/932951/download?inline